მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!
ფსალმუნი 4:7

მებრაული გაზეთი საქართველოში

MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA

„מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

„მენორა"
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ

ივნისი
(თამუზი)
15-30
№12 (252)
(5767 **წელი**)
2007 **წელი**
ფასი 50 თეთრი

מנורה

83 წლის შიმონ ფერესი – ისრაელის პრეზიდენტი

თითქოს დავიდ ბენ-გურიონი დაბრუნდა ისრაელის პოლიტიკაში – შიმონ ფერესი დავიდ ბენ-გურიონის აღზრდილია.

13 რიცხვი ბედნიერი აღმოჩნდა დიდი პოლიტიკური მოღვაწის შიმონ ფერესისათვის – მან ასეთ ხანდაზმულ ასაკში მიაღწია მიზანს, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხუთიოდ წუთი აცილებდა.

13 ივნისს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, დავიდ ბენ-გურიონის მოწაფეთაგან უკანასკნელი მოჰიკანი ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მონაწილე თაობისა, შიმონ ფერესი, ისრაელის ქნესეთმა სახელმწიფოს პრეზიდენტად აირჩია.

შიმონ ფერესმა პოლიტიკური ცხოვრების დიდი გზა გაიარა. იგი იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მაშინ, როცა თავდაცვის მინისტრობას, პრემიერ-მინისტრი დავიდ ბენ-გურიონი ითავსებდა და ისრაელი შიშის ზარს სცემდა მასთან დაპირისპირებულ სახელმწიფოებს. შიმონ ფერესი გახლავთ შემქმნელი ისრაელის ატომური პოტენციალისა – დიმონას ცენტრი სწორედ მისი ხელმძღვანელობით შენდებოდა.

შიმონ ფერესი მრავალ სამინისტროს ხელმძღვანელობდა და ყველა დარგს, რომელსაც იგი ჩაუდგა სათავეში დაეტყო დიდი ინიციატორის ხელი, განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი ფიგურა, როგორც საგარეო უწყების ხელმძღვანელისა. იგი იყო შრომის (ლეიბორისტული) პარტიის ლიდერი, მაგრამ ამავე პარტიის ასევე ლიდერთან, დიდებულ სახელმწიფო მოღვაწესთან და გენერალთან – იცხაკ რაბინთან დაპირისპირების თუ იღბალის გამო მთელი სიცოცხლის მანძილზე წარუმატებლად ამთავრებდა მის ყოველ გაბრძოლებას სახელმწიფოს პირველი პირის სავარძლისათვის. შიმონ ფერესი და იცხაკ რაბინი მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუბრებულები იყვნენ ერთმანეთთან და მთელი სიცოცხლის განმავლობაში უაღრესად აფასებდნენ ერთიმეორის ღვაწლს და ნიჭს. შიმონ ფერესმა იცხაკ რაბინის საფლავთან თქვა ფრაზა, რომელიც ისრაელში მოჰყავთ როგორც ნიმუში დიდი ინტელექტუალის აღსარებისა: „მან (იცხაკ რაბინმა) მე სიკვდილითაც მაჯობა".

იცხაკ რაბინის გარდაცვალების შემდეგ, თითქოს თავისუფლად უნდა ამოესუნთქა, მაგრამ არა... ჯერ პარტიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა, (შეცვალა ყოვლად უსახურმა პარტიელმა კოლეგამ), მერე კი პარტია – არიელ შარონის ახლადშექმნილ „კადიმა"ში გადავიდა.

შიმონ ფერესი მეგობრობდა ქართველ ებრაელ რეპატრიანტებთან – იგი ხშირად სტუმრობდა რაფი ბარლავის (ბალუაშვილის), მიხეილ კრიხელის, ახალგაზრდა ეფრაიმ გურის თუ სხვათა ოჯახურ დღესასწაულებს, ხოლო ეფრაიმ გური 1988 წელს სწორედ მისი ხელდასხმით გახდა ისრაელის ქნესეთის წევრი.

შიმონ ფერესი გამორჩეული ინტელექტუალია დღევანდელ მსოფლიოში. მან კარგად იცის ვეფხისტყაოსანი და მეტად საინტერესო მოსაზრებები აქვს მასზე – ზეპირად კითხულობს ამ შედევრის ცალკეულ თავებს, ამ რამდენიმე წლის წინათ რუსეთში საგანგებოდ ჩავიდა, რომ იასნაია პოლიანას სწვეოდა და შეეგრძნო ლ. ტოლსტოის გარემო. 2003 წლის ოქტომბერში ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მოწვევით საქართველოშიც იმყოფებოდა. შეხვდა საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის გზების ძიებაზე და დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახ.მედლით.

შიმონ ფერესი გახლავთ ფენომენალური პიროვნება – მას სჯერა, რომ ახლო აღმოსავლეთში ებრაელებსა და არაბებს შორის შესაძლებელია მშვიდობის დამყარება.

იქნებ, ის ჟამი დადგა, როცა იმარჯვებს არა მხოლოდ შიმონ ფერესი, მისი იდეებიც.

ღმერთმა ინებოს!

მსოფლიოს ებრაული კონგრესის ახალი პრეზიდენტი

10 ივნისს ნიუ-იორკში გაიმართა მსოფლიო ებრაული კონგრესის (მეკ) გამგეობის სხდომა.

გამგეობის სხდომაზე მეკ-ის პრეზიდენტმა გადადგომა ითხოვა. გამგეობას მან მოახსენა, რომ ასაკის გამო აღარ ძალუძს უხელმძღვანელოს ასეთ სერიოზულ მსოფლიო ორგანიზაციას. გამგეობამ მოისმინა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მენდელ კაპლანის მოხსენება.

შემდეგ გამგეობამ აირჩია მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტი.

მეკ ახალი პრეზიდენტი გახდა აშშ წამყვანი ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტთა კონფერენციის ყოფილი ხელმძღვანელი რონალდ ლაუდერი – შვილი ცნობილი ესთი ლაუდერისა.

მეკ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ედგარ ბრონფმანის ვაჟი მეთიუ ბრონფმანი.

მეკ-ის გამგეობის სხდომაზე სტუმარის სტატუსით მონაწილეობდა ისრაელის დელეგაცია მწერალ ეინათ ვულფის ხელმძღვანელობით, ასევე ავტორიტეტული ებრაული ორგანიზაციების დელეგაციები.

დიდი ადამიანის საფლავთან

საბა კლდიაშვილი... ეს სახელი და გვარი ნათელით მოსავს ქართველი ხალხის ტოლერანტულ სულისკვეთებას. იგი კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორი იყო და არის ქართველი ხალხი. სხვა ერების პატივისცემა მას არავისგან არ ესწავლებოდა – მის შვილთა დამოკიდებულება კი ბევრ ერს გამოადგება სამაგალითოდ.

ერთ-ერთი ამათგანია საბა კლდიაშვილი, რომელმაც მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ოდესაში ებრაელთა დარბევისას ებრაელთა დაცვას სიცოცხლე შესწირა.

საბა კლდიაშვილი ქუთაისში ჩამოასვენეს. იგი დაკრძალულია საფიჩხიის სასაფლაოზე.

მერე რა, რომ გარდაცვალებიდან ასი წელი გავიდა.

მადლიერ ქართველობას და ებრაელობას კვლავაც ახსოვთ ადამიანების ქომაგი.

ქართველობას იმიტომ ახსოვს, რომ იგი ასახელა, ერის ღირსება ქვეყნიერებას გააგებინა.

ებრაელობას ახსოვს თავისი ქომაგი – ადამიანი, რომელმაც თავი შესწირა.

ამიტომ ქართველნი და ებრაელნი ერთად მოდიან ხოლმე სულმნათი კაცის საფლავთან, რათა პატივი მიაგონ მის ხსოვნას. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლებს – ქართველებსა და ებრაელებს.

ისინი საფიჩხიის სასაფლაოზე მოვიდნენ იმისათვის, რომ პატივი მიაგონ საბა კლდიაშვილის ხსოვნას.

შოთა ხახიაშვილის ფოტო
(გადაღებულია 2001 წლის 25 ივნისს)

იუდაიზმი თანამედროვე პირობებში

სიმონ სიმონიშვილი

ამავე დროს შემთხვევითობას არ შეეძლო შეექმნა ერთგვაროვანი ცილა ბაქტერიებსა და ადამიანებში. ბალახის ბაქტერიის თუ ადამიანის არსებობა ემყარება ერთსა და იმავე 20 ამინომჟავას. ყველა ცილებს, რომლებიც გენეტიკური მასალისგანაა წარმოშობილი, ერთი და იგივე მარცხნივ გადახრილი კონფიგურაცია აქვთ. ხოლო შაქრის მოლეკულებს კი მარჯვნივ გადახრილი კონფიგურაცია. კიდევ მეტიც, ცილების სირთულისა და მრავალფეროვნების მიუხედავად ცოცხალი ორგანიზმების ძირითად ფორმებში მხოლოდ რამდენიმე თითქმის ერთნაირი ცილის წარმოქმნასა აქვს ადგილი. ყველა ფორმის ეს მსგავსება, მეცნიერების თვალსაზრისით, მეტისმეტად დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ არსებობს სიცოცხლის ერთი და იგივე, ერთადერთი წყარო. დაუჯერებელია, რომ იგი შემთხვევით წარმოიშვა.

ამიტომ, როგორც ჩანს, სინამდვილეში ადგილი ჰქონდა სიცოცხლის მხოლოდ ერთი ფორმის მოდელს, რომელიც შემდგომში გადაცემულ იქნა შთამომავლობით.

ამასთან არა მარტო სამყაროს არსებობის დრო არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ სიცოცხლის თავისთავადი, შემთხვევითი წარმოშობა, ამის საშუალებას არ იძლევა სამყაროს მასა, მოცულობა. გეოქიმიური პროცესებიდან ბიოლოგიურ პროცესებამდე გადასვლისათვის საჭირო იყო გენეტიკური კოდი. ერთი ცილის შემთხვევითი წარმოშობა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, საჭირო იყო სამყაროს წარმოშობიდან გასული თითოეული სეკუნდის 10 მე-100 ხარისხში შემთხვევითი შეერთება. და ამავე დროს საჭირო იყო 10 90-ე ხარისხში ნახშირწყალი. და არა მარტო მთელი დედამიწის მასა არის ამაზე ნაკლები. ეს რაოდენობა რამდენიმე მილიარდჯერ უფრო მეტია, ვიდრე მთელი ჩვენი სამყაროს სავარაუდო მასა.

სიცოცხლის ყველა ფორმას ახასიათებს სიცოცხლის მრავალი სახეობა და აქედან გამომდინარე ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ გენეტიკურ კოდსაც სხვადასხვა ნაირსახეობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთი სახეობის კოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის პროცესი, რომელსაც ასახავს თანამედროვე მეცნიერება და კოსმოლოგია, და თორა, იუდაიზმი ემთხვევა ერთი მეორეს. რა თქმა უნდა, ამ პროცესისათვის საჭირო დროის გარდა.

თორა გვამცნობს, რომ იმის შეცნობა თუ რა იყო სამყაროს გაჩენამდე „ბერეშით“-ამდე შეუძლებელია. თანამედროვე კოსმოლოგია აგრეთვე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ინფორმაციის მიღება იმის შესახებ თუ რა იყო დიდი აფეთქების წინ, სამყაროს წარმოშობის დასაწყისის წინ. მატერიისა და სივრცის წარმოშობამდე არსებული მოვლენები არ ექვემდებარება შესწავლას. ჩვენთვის ცნობილი კალენდარი იწყება მხოლოდ ადამიანის წარმოშობასთან ერთად.

ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში ნახმანიდს მოყავს ციტატა „ბერეშით“-ის ერთ-ერთი კომენტარიდან, რომელიც მანამდე 600 წლის წინათ იყო დაწერილი. მასში მოცემულია მტკიცება, რომ სამყაროს შექმნამდე დრო არ არსებობდა. ფიზიკური სამყაროს შექმნამდე არ არსებობდა არავითარი დრო. იგი შეიქმნა ფიზიკური სამყაროს შექმნასთან ერთად. ბერეშითის პირველი თავის კომენტარის დროს მაიმონიდი და ნახმანიდი ორივენი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს შექმნამდე არც დრო და არც სივრცე არ არსებობდა. სამყაროს ენერგიამ და მატერიამ დაბადა დროც და სივრცეც. ისინი აღნიშნავენ აგრეთვე, რომ სამყარო ფართოვდება.

თორის ძირითადი პოსტულაციაა, რომ დედამიწა, მთელი ჩვენი სამყარო გაჩენილ იქნა არაფრიდან, გამჩენის მიერ აბსოლუტური არაფრისგან. მაიმონიდი აღნიშნავდა, რომ „ვისაც არ სწამს ეს და თვლის, რომ ცა და დედამიწა მუდმივად არსებობდა, იგი უარყოფს იუდაიზმის, ებრაული რელიგიის, ყველაზე არსებით და ძირითად პრინციპს“. როდესაც თეორიული ფიზიკის სპეციალისტებმა მოინდომეს სამყაროს გაჩენის პირველი სეკუნდის (უმცირესი ნაწილაკების) აღწერა, მათ წარმოუდგათ სამყარო მატერიალური არსის გარეშე. ე.ი. თეორიული ფიზიკის თვალსაზრისით სამყარო მატერიალურის გარეშე იყო.

ამრიგად იუდაიზმი და თანამედროვე კოსმოლოგიური თეორია ემთხვევა ერთმანეთს აგრეთვე იმის შესახებ, რომ სამყარო წარმოშობილია იმ თავდაპირველი მდგომარეობიდან, რომელიც ხასიათდება მასის არარსებობით და აგრეთვე იმით, რომ სამყარო ფართოვდება.

თორის უძველესი კომენტატორების განკარგულებაში არ იყო თანამედროვე რადიო ასტრონომიისა და სპექტროსკოპიის მიღწევები, რომლებიც თანამედროვე კოსმოლოგიის განკარგულებაშია. და საოცარია, წარმოუდგენელია, ნამდვილი სასწაულია, როგორ შესძლებს ჩვენმა მასწავლებლებმა ცოდნის მიღება იმის შესახებ, რომ ჩვენი სამყარო წარმოშობილ იქნა უმცირესი მტვრის ნაწილაკებისაგან და რომ იგი ფართოვდება. რომ ეფემერული სუბსტანცია გადავიდა შეგრძნებად მატერიაში, ანუ უფორმობა გადავიდა მატერიალურში, რომელსაც ფორმა აქვს, და ამას თან ახლდა სამყაროს გაფართოება. დღეს ყველა მეცნიერული მონაცემები მიგვითითებენ, რომ სამყარო ფართოვდება. ამის შესახებ ჩვენ ათასი წლის წინათ გვამცნო ნახმანიდმა თორის თავისეულ განმარტებაში.

სხვათა შორის, აინშტაინი აღნიშნავდა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ მას ჯიუტად არ სურდა იმის აღიარება, რომ სამყარო სტატიკურ მდგომარეობაში კი არ იმყოფება, არამედ ფართოვდება. და მას რომ სცოდნოდა ბიბლიური მოძღვრება იმის შესახებ, რომ სამყარო ფართოვდება, მისთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა მისი საკუთარი ფარდობითობის თეორიის დადგენა.

სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობა, რომელიც აღწერილ იქნა თორაში ათასობით წლის წინ, რა თქმა უნდა დღევანდელი მეცნიერული თვალსაზრისისაგან დამოუკიდებლად, ძალიან წააგავს, თითქმის ემთხვევა ამის შესახებ თანამედროვე კოსმოლოგიისა და პალეონთოლოგიის წარმოდგენას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თორას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია თანამედროვე მეცნიერულ თვალსაზრისზე, მის ჩამოყალიბებაზე. მეცნიერება სამყაროს სულ უფრო ღრმა გაგებისა და შესწავლის შედეგად დამოუკიდებლად მივიდა ამ დასკვნამდე.

მეცნიერები ხედავდნენ რა, რომ ბუნების კანონებს არ შეუძლიათ აგვიხსნან სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელია ორი სცენარი: პირველი გულისხმობს დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობას შემთხვევითი, არა ურთიერთ დაკავშირებული, თვითნებური, ნებისმიერი მოვლენების შედეგად, ქაოსურად. მეორე სცენარი გულისხმობს, რომ სიცოცხლე ან გარედან იყო შემოტანილი დედამიწაზე, ან რაღაც ღვთიური ძალა, უმაღლესი ძალა, მართავდა ამ პროცესს.

პირველი სცენარი მეცნიერულად ძალიან სუსტად გამოიყურება, რამდენადაც დედამიწაზე არა აქვს ადგილი თვითნებურ, შემთხვევით მოვლენებს. ყველაფერი კანონზომიერია. სამყარო ერთ მთლიანს წარმოადგენს. ცალკეული მოვლენები აუცილებლად უნდა იყოს და არის ურთიერთდაკავშირებული და ერთიან კომპლექტს შეადგენს.

ერთ-ერთი ყველაზე რთული და გაუგებარი საკითხი არის ის, რომ სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობისათვის გამჩენს დასჭირდა, როგორც თორა აღნიშნავს მხოლოდ 6 დღე. ხოლო თანამედროვე მეცნიერება კი თვლის, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტას ბუნებამ დაახლოებით 15 მილიარდი წელი მოანდომა.

ძნელად თუ მოიძებნება თეორია, რომელმაც ასე ღრმა გავლენა მოახდინა ჩვენს მიერ სამყაროს გაგებაზე, როგორიც არის ფართობითობის თეორია, მანამდე როგორც წესი, დრო განიხილებოდა რაიმე პროცესის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, როგორც დამოუკიდებელი იმისაგან, თუ ვის მიერ ხდებოდა მისი გაზომვა.

ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორიამ ძირფესვიანად შეცვალა დროისა და სივრცის გაგება. აინშტაინმა აღმოაჩინა, რომ ენერგია E უდრის მის მასას M გამრავლებულს სინათლის სიჩქარის კვადრატზე. $E=MC^2$ ეს ფორმულა ეხება ყველა სახის ენერგიას. აინშტაინის ფორმულა მოითხოვს, რომ ობიექტის მასა ფაქტიურად უნდა გაიზარდოს მისი სიჩქარის გადიდების შესაბამისად. ეს ურთიერთობა მასასა და ენერგიას შორის ძალიან კარგად და ლამაზად არის აღწერილი ბევრი თანამედროვე მეცნიერის მიერ, სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის პროცესის ასახვის დროს. მაგრამ სასწაული ის არის, რომ ეს აღწერილია ნახმანიდის ბერეშითის კომენტარებში ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინათ. რა თქმა უნდა ნახმანიდი, წარსული დროის უდიდესი თეოლოგი, არ იცნობდა, და არც შეიძლება სცოდნოდა დღევანდელობის დიდი მეცნიერის, მეორე დიდი გენიოსი ებრაელის, თეორიას. აინშტეინმა დაამტკიცა, რომ ობიექტის მასა წარმოადგენს მისი სიჩქარის ფუნქციას.

აინშტაინმა განმარტა, რომ ფიზიკის ყველა კანონები, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა ბუნების კანონები მოქმედებენ ერთნაირად გათვლის ერთ სისტემაში, მაგრამ სინათლის მიერ გავლილი მანძილი სხვადასხვა ინერციული სისტემიდან სხვადასხვა იქნება. და მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სინათლემ ერთი და იგივე გზა გაიარა, ამ გზის გავლისათვის საჭირო დრო, ამ მოვლენის ხანგრძლიობა, სხვადასხვა არის სხვადასხვა გათვლის სისტემიდან გაზომვის დროს.

და სწორად ამასთან არის დაკავშირებული ის, რომ ბევრი მეცნიერი და თეოლოგი ხსნის იმას, რომ 6 დღე სამყაროს წარმოშობის შესახებ თორის მიხედვით შეიძლება ნებისმიერი სხვა დროის ტოლი იყოს. იგი შეიძლება გაუტოლოთ თუნდაც 15 მილიარდ წელიწადს, ვინაიდან სამყაროს სხვადასხვა ნაწილში დრო სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.

გამჩენისა და დედამიწისათვის საერთო კალენდარი არ არსებობდა. თითონ დედამიწა მისი წარმოქმნის დროს საერთოდ არ არსებობდა და ვინც მის წარმოქმნას ახორციელებდა, ან თუნდაც უთვალთვალებდა ამას, ის სულ სხვა განზომილებათა სისტემაში იყო, დედამიწისა და სამყაროს გარეთ იყო.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია და შეუძლებელი სამყაროს განვითარების ის თანმიმდევრობა, რომელიც თორაშია წარმოდგენილი. თორის მიხედვით დედამიწაზე ჯერ მცენარეული იქნა გაჩენილი, გაჩენის მესამე დღეს, და მხოლოდ მას შემდეგ მზე და მთვარე, მეოთხე დღეს, რა თქმა უნდა, თორის გათვლის სისტემის შესაბამისად.

ცნობილი ფიზიკოსი ჯერალდ შრედერი აღნიშნავს, რომ მეოთხე დღეს დედამიწის ატმოსფერო გამჭვირვალე გახდა, რადგანაც აერობული ბაქტერიების მოქმედების შედეგად შეივსო ჟანგბადით და განთავისუფლდა ჭარბი ნახშირორჟანგისაგან. და ამის შედეგად ადრევე არსებული მზე და მთვარე გამოჩნდა დედამიწის ზედაპირზე. მრავალი ცნობილი მეცნიერი დაეთანხმა ამ ვერსიას და აღნიშნავს, რომ სამყაროს განვითარების ასეთი სცენარი სავსებით შესაძლებელი იყო.

ჩვენ ხშირად გვეჩვენება, რომ სინათლე მხოლოდ ის არის, რასაც ჩვენ შევიგრძნობთ ჩვენი მხედველობის საშუალებით. მაგრამ სინამდვილეში სინათლე წარმოადგენს ელექტრომაგნიტური გამოსხივების გაცილებით უფრო ფართო სპექტრს. იგი მოიცავს გამა-გამოსხივებას, რენტგენულ სხივებს, ულტრაფიოლეტურ სხივებს, მხედველობით დასანახ სინათლეს, ინფრაწითელ გამოსხივებას, და რადიოტალღისებრ გამოსხივებას. ამგვარად ჩანს, რომ ჩვენი მხედველობა ვერ აღიქვამს ყველა ამ გამოსხივებას. ელექტრომაგნიტურ სპექტრში გარკვეული სიდიდის ტალღა გარკვეული ენერგიით ხასიათდება. ადამიანის თვალი აღიქვამს მხოლოდ გარკვეული სიდიდის ტალღებს და ამიტომ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმ სინათლეს, რომელიც წარმოქმნის ცისარტყელას ფერებს. და როდესაც ღმერთმა სთქვა: „და იყოს სინათლე“, როგორც ჩანს, მაშინ წარმოიქმნა სრული ელექტრომაგნიტური სპექტრი, სხვანაირად რომ ვსთქვათ, წარმოიშვა სინათლე ენერგიის სახით, სინათლის ენერგია. სინათლის ის ენერგია, ის გამოსხივება, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ იყო გამონთავისუფლებული. როდესაც იგი გამონთავისუფლდა, მაშინ გახდა იგი ჩვენთვის დასანახი. და სწორედ თორაში აღნიშნულია ორჯერ სინათლის წარმოშობა. პირველად თორა აღნიშნავს ბერეშითის დასაწყისში „და იყოს სინათლე“ (ბერ 1,3) პირველ დღეს. და როგორც ჩვენი ბრძენები აღნიშნავენ, „და სთქვა ღმერთმა“, გამჩენის სიტყვა ეს არის მისი გამოვლინების ფორმა გაჩენილ სამყაროში, ფორმა, რომელიც გარდაქმნის და ცვლის ყოველივეს.

და იქვე ბერეშითის პირველ თავში, მეოთხე დღეს „და თქვა ღმერთმა: „იქმნენ მნათობნი ცის კამარაში, რათა განსხვავდეს დღე ღამისაგან, და იქნენ დროთა, დღეთა და წელთა მაჩვენებლად. და იქნენ მნათობებად ცის კამარაში დედამიწის გასანათებლად“ (ბერ 1: 14-15). ამგვარად, პირველ დღეს შეიქმნა სინათლე, ხოლო მეოთხე დღეს ცის კამარაზე გამოჩნდა მზე და მთვარე „დედამიწის გასანათებლად“.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ე“ № 11)

ბადრი პატარკაციშვილი: „პერესის პრეზიდენტის [illegible] იყო“

წარმატებული ქართველი მეწარმე, უმსხვილესი რუსული კომპანიის დამაარსებელი (ორტ, "სიბნეფტქ", "რუსალ")ბ ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ბიზნესფედერაციის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ისრაელის პრეზიდენტობის კანდიდატ შიმონ პერესის უჭერს მხარს. "ისრაელის მოქალაქე არ ვარ, მაგრამ ვარ ებრაელი და ვგულშემატკივრობ ამ ქვეყანას. მხოლოდ შიმონ პერესს შეუძლია საერთაშორისო არენაზე ისრაელის სახელისუფლო სტრუქტურების შერყეული ავტორიტეტის აღდგენა", – განაცხადა ბადრი პატარკაციშვილმა ისრაელში გამომავალ რუსულენოვან გამოცემა "ვესტი"-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ბადრი პატარკაციშვილი: მე მას კარგად ვიცნობ და მისით გულწრფელად აღფრთოვანებული ვარ. იგი ისრაელის ლიდერთა იმ ბრწინვალე პლეადის წარმომადგენელია, როგორებიც არიან ბენ-გურიონი, გოლდა მეიერი, იცხაკ რაბინი. იგი იმავე მასალითაა გამოძერწილი, როგორითაც – ეს ბრწყინვალე ლიდერები. რად ღირს თუნდაც რაბინის დაკრძალვაზე წარმოთქმული შიმონ პერესის სიტყვები, რომ რაბინმა თავისი გარდაცვალებითაც კი აჯობა მას. პიროვნება უნდა იყო, რომ ასე გამოხატო გრძნობები.

– თქვენ არასოდეს გკითხავთ მისთვის, რატომ ვერ მოახერხეს მან და რაბინმა ერთმანეთში მოლპარაკება მთელი ცხოვრების მანძილზე.

– ისინი მეგობრები არასოდეს ყოფილან და ამას არც მალავდნენ, მაგრამ ორივე ერთგული იყო ერთი საქმის – ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობის. შიმონი ყოველთვის თავის ქვეყანას ემსახურებოდა და, ვგონებ, თანამედროვეთაგან ისრაელისთვის მისოდენი არავის გაუკეთებია. დღესდღეობით ის მსოფლიოში ისრაელის ყველაზე ცნობილი და პატივსაცემი მოქალაქეა. ახლა, როცა პრეზიდენტის ინსტიტუტი და ისრაელის ხელისუფლების ავტორიტეტი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, უკეთესის სურვილს გვიტოვებს, ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია სიტუაციის დაბალანსება და მაქსიმალურად მოკლე დროში გამოსწორება, შიმონ პრესია. ეჭვი არ მეპარება, რომ ნებისმიერ სხვა კანდიდატსაც შეუძლია ამის გაკეთება. თუმცა, დანარჩენი კანდიდატები ამის გაკეთებას გაცილებით დიდ დროს მოანდომებენ, პერესი კი მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილ ავტორიტეტს გამოიყენებს და მიზანს გაცილებით სწრაფად მიაღწევს.

– იქნებ იმიტომ, რომ ეს მისი უკანასკნელი შანსია. სხვათა შორის, მას ადრე არასოდეს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვანია. ახლა კი თქვა. თქვენ ხომ არ იცით, რატომ.

– ვფიქრობ, პერესი ყოველთვის და ახლაც სახელმწიფოებრივად აზროვნებს. იგი 84 წლისაა. მას სურს მოასწროს თავისი ქვეყნისთვის ყველაფრის გაკეთება, რაც კი შეუძლია. ძალიან ბევრი კი შეუძლია. შეხედეთ, როგორ იქცევა, როგორ საუბრობს! ადამიანს ვერ იპოვით, რომელიც მასთან საუბრის შემდეგ მისი სიბრძნით აღფრთოვანებული არ დარჩა. მის შემხედვარეს სურვილი გიჩნდება, ებრაელი იყო.

– პერესი უყვართ მსოფლიოში, პერესი მშვიდობის მომხრეა. იქნებ ამიტომაც ჰყავს ამდენი მოწინააღმდეგე ისრაელში. ისინი ხომ მშვიდობისკენ არ ისწრაფვიან.

– არ ვეთანხმები ბოლო მოსაზრებას. ისრაელი – ეს შიმონ პერესიცაა და არა მხოლოდ ის ხალხი, რომლებიც დღეს ისრაელს მართავენ. თუმცა, ცნობილია, რომ ყველა ქვეყანას ისეთი ხელისუფლება ჰყავს როგორსაც იმსახურებს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ისრაელი უკეთეს მთავრობას იმსახურებს. ისრაელის მოქალაქეები ახლა რომ წყვეტდნენ, ვინ უნდა იყოს და არ უნდა იყოს მთავრობაში, ეჭვი არ მეპარება, მოქმედი პოლიტიკოსებიდან ძალიან ბევრი ხელისუფლებაში ვერ მოხვდებოდა. პერესი სუფთა პოლიტიკის განსხეულებაა, რომელზეც ნებისმიერმა ქვეყანამ შეიძლება მხოლოდ იოცნებოს. იგი არ არის იმ პოლიტიკური მაქინაციებით დაკავებული, რაც ასე პოპულარულია განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში ისრაელში.

– თუმცა, იგი ცნობილია, როგორც ყველაზე ცბიერი მელა ისრაელის პოლიტიკაში.

– იმას, რასაც თქვენ ცბიერებას უწოდებთ, პოლიტიკური სიბრძნის გამოვლინებაა. ის ბრწყინვალე მოჭადრაკეა და მთელ სურათს რამდენიმე სვლით ადრე ხედავს. რაც შეეხება მის პოლიტიკურ წესიერებას, ერთადერთ მაგალითს მოგიყვანთ. 19 ივნისს პერესის ცენტრი "მშვიდობა ისრაელში" საფეხბურთო მატჩს ჩაატარებს მადრიდის "რეალსა" და ისრაელის ნაკრებს შორის, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან როგორც ებრაელი, ისე არაბი ფეხბურთელები. ნებისმიერი მის ადგილზე ასეთ პრესტიჟულ მატჩს პრეზიდენტის არჩევნებამდე, 13 ივნისამდე დანიშნავდა. მან სპეციალურად არჩევნების შემდეგ დანიშნა მატჩი, რათა პატიოსანი იყოს როგორც ქვეყნის, ისე საკუთარი თავის წინაშე.

– ხომ არ მიგაჩნიათ, რომ პერესისთვის დამახასიათებელი აქტიურობა მას ხელს შეუშლის, პოლიტიკაზე მაღლა დადგეს, რასაც ისრაელში პრეზიდენტის ინსტიტუტი მოითხოვს.

– ის იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც ყოველთვის იცის, რას აკეთებს. სკოლაში სწავლის პერიოდში ასეთი ადამიანების მიმართ მძაფრი სიძულვილი მქონდა, მაგრამ სკოლის ასაკიდან გამოვედი და ახლა ვიცი, რისი მიღწევა შეუძლია ჭეშმარიტად მიზანდასახულ ადამიანს. შიმონს, რადგან ასე გადაწყვიტა, შეუძლია პოლიტიკაზე მაღლა დადგეს და ისრაელის საუკეთესო პრეზიდენტი გახდეს.

– თქვენთვის ცნობილია, რომ ქვეყნის რუსულენოვანი მოსახლეობა არ ემხრობა მის კანდიდატურას.

– ისრაელში, სადაც დიდი რაოდენობით დსთ-დან გამოსული ადამიანები ცხოვრობენ, შეუძლიათ და უნდა ახდენდნენ კიდეც ზეგავლენას ქვეყნის პოლიტიკაზე, მაგრამ მხოლოდ თავისი და თავისი ქვეყნის და არა გარეშეთა ინტერესებიდან გამომდინარე. რუსულენოვან რეპატრიანტებს ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების ლობირებისათვის იყენებენ. არადა, შედეგი მათი ქვეყნისა და შვილების ბედზე აისახება. სერიოზული წყალგამყოფი არსებობს იმ რუსულენოვან ებრაელებს, რომლებიც ცხოვრობენ ამ ქვეყანაში და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება სურთ და მათ შორის, ვინც მუშაობს მხოლოდ იმიტომ, რომ ისრაელში კრემლის იდეებმა იცოცხლოს. სხვაობა დიდია. მე პირადად არაფერი რუსეთის საწინააღმდეგო არ მაქვს. ამასთან ერთად, ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელსაც, სამწუხაროდ, მოსკოვთან არც თუ კარგი ურთიერთობა აქვს. სამწუხაროდ, იმიტომ, რომ მიმაჩნია, მეზობლებს, ისევე როგორც მშობლებს, არ ირჩევენ. რა ვქნათ, არ არის ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა, გაგვეცვალა გეოგრაფიული მდებარეობა კუბის, მაგალითად, საქართველოსთან! მაგრამ, ვინაიდან საბჭოთა მოდელისგან გავთავისუფლდით, მოდით, საკუთარი მენტალობაც გავათავისუფლოთ პოსტსაბჭოთა ჩარევისგან. მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ისეთი ქვეყნის პოლიტიკას ეხება, როგორიც ისრაელია.

– რატომ გადაწყვიტეთ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატისთვის გამოკვეთილად დაგეჭირათ მხარი. თქვენ ხომ არ ხართ ისრაელის მოქალაქე.

– ისრაელის არც ერთ მოქალაქეს უფლება არ აქვს, ებრაელებს, რომლებიც ისრაელში არ ცხოვრობენ, უარი უთხრან ამ მიწის თანამოზიარეობაში. მე ისრაელის მოქალაქე არ ვარ, მაგრამ ებრაელი ვარ და გული მტკივა ამ ქვეყნის გამო. ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც ისრაელში ხდება.

– მაშინ აქ რატომ არ ცხოვრობთ.

– იცით, ყვებიან, რომ ჰენრი კესინჯერმა გოლდა მეიერთან შეხვედრაზე განაცხადა: "მე პირველ რიგში აშშ-ს მოქალაქე ვარ, მერე აშშ-ს სახელმწიფო მდივანი და მხოლოდ ამის შემდეგ ვარ ებრაელი!" – "მე მაწყობს", – უპასუხა გოლდამ. – ჩვენ ხომ მარჯვნიდან მარცხნივ ვკითხულობთ". მაშ ასე, მე კესინჯერი არ ვარ, თუმცა მანაც ვერ დაიძვრინა თავს ამ შეკითხვისაგან. ცნობილი პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე არ ვარ, მე ბიზნესმენი ვარ და შემიძლია თავს მსოფლიოში თავისუფლად გადაადგილების ფუფუნება მივცე. ხშირად ვიმყოფები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ საქართველოში ვცხოვრობ. ერთი მხრივ, ებრაელი ვარ, მაგრამ საქართველოს მკვიდრი. იმ საქართველოსი, რომელიც ჩემი სამშობლოა. მე მინდა, პირველ რიგში, საკუთარ თავთან ვიყო მართალი. მე მიყვარს ისრაელი და ბევრს ვაკეთებ ამ ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოში ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობების განვითარების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ, თავდაპირველად აქტიურ წინააღმდეგობას ვუწევდი საქართველოში ისრაელის ელჩის შაბთაი ცურის ამ პოსტზე დანიშვნას, ახლა აქტიურად ვეხმარები, რადგან დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანი უზარმაზარ სამუშაოს ატარებს ორმხრივი ურთიერთობის საკეთილდღეოდ და ქართულ-ებრაული სათვისტომოსთვის ორივე ქვეყანაში.

– საიდან გაუჩნდათ "რუს ოლიგარქებს" ისრაელის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის სურვილი. ადრე ასეთი ტენდენციები თითქოს არ შეიმჩნეოდა.

– დავიწყოთ იმით, რომ მე ოლიგარქი არ ვარ. ჩემი აზრით, ადამიანების უმრავლესობამ, რომლებიც სიტყვა "ოლიგარქს" იყენებენ, ზუსტად არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა. პრობლემა ისაა, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით რუსეთმა თავისი ბიზნესმენებისთვის მხარის დაჭერის მაგივრად, ყველაფერი გააკეთა, რათა მათი იმიჯი გაეფუჭებინათ როგორც შიგნით ქვეყანაში, ისე – საერთაშორისო თანამეგობრობაში, შექმნა რა ლეგენდა "რუს ოლიგარქებზე". მე მესმის, რომ როცა ადამიანს სხვებზე მეტი შეუძლია, ეს ყოველთვის თვალშისაცემია სხვა ადამიანებისთვის. ებრაელებს ტრადიციულად დიდი ამბიციები აქვთ და როგორც კი ისინი ფულს გამოიმუშავებენ, მაშინვე ცდილობენ, ძალაუფლება მოიპოვონ. ამის უარყოფას არ შევეცდები. თუმცა მიმაჩნია, რომ ამაში არაფერი ცუდი არ არის.

გაზეთი „რეზონანსი“ („მთელი კვირა“)
11 ივნისი, 2007 წელი

გზის დალოცვა

8 ივნისს თბილისის ებრაულ სათემო სახლში ტრადიციადქცეულ კაბალათ შაბათი იზეიმეს. ეს კაბალათ შაბათი სხვებისგან იმით იყო გამორჩეული, რომ ებრაულ სახლში მოწვეულნი გახლდნენ ამა წლის საშუალო სკოლადამთავრებული ებრაელი ახალგაზრდები.

ღონისძიების წამყვანმა, ებრაული სახლის კოორდინატორმა ზაირა დავარაშვილმა მოწვეული ახალგაზრდები წარადგინა: ნატალი ბინიაშვილი, რინა კრიხელი, ვალენტინ ლიუბინიცი, მარიტე შიმშილაშვილი, სარიდა შიმშილაშვილი, მიხეილ ნაფტალი, გიორგი მანაგაძე, ლია ლიგერმანი, ირმა შიმშილაშვილი, სტანისლავ ზასლავსკი. ქ-ნმა ზაირამ შეკრებილი საზოგადოებრიობის წინაშე იმ ებრაელი ახალგაზრდების გვარებიც ამოიკითხა, ვინც თბილისის გარეთ საქართველოს ქალაქებში დაამთავრა სკოლა.

კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება მიულოცეს: ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ შათაშვილმა, ქოენმა რაფიელ მესენგისერმა, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლატმა, „ჯოინთის“ წარმომადგენელმა საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვმა, გურამ პაატაშვილმა და ზაირა დავარაშვილმა ბავშვების სახელით რაია წიწუაშვილის „სადიდებელი“ წაიკითხა. ქოენმა რაფიელ მესენგისერმა ისაუბრა თორის საკითხებზე. საშაბათო სანთლები სკოლის კურსდამთავრებულებთან ერთად აანთეს: ელენა ხახმიგერმა, ელენა ბერუჟიაშვილმა და ზაირა დავარაშვილმა ღონისძიებაზე სიმღერები შეასრულეს: ვოკალურ ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ლეხაიმ“ და მარნიკა მირველაშვილმა.

ექვსდღიანი ომი

რ. ჩერჩილი, უ. ჩერჩილი

40 წელი გავიდა მას შემდეგ, ისაც ისრაელმა სასტიკი დამარცხება მიაყენა არაბული სახელმწიფოების კოალიციას. 5 არაბული სახელმწიფოს: ეგვიპტეს, სირიას, იორდანიას, ერაყს და ლიბანს განზრახული ჰქონდათ მინისა პირისაგან აღეგავათ ისრაელი, მოესპოთ მისი სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ისრაელმა სძლია მტერს, დაიბრუნა ისტორიული დედაქალაქი – იერუსალიმი და ომის მეოთხე დღეს არაბული სახელმწიფოების დედაქალაქებს მიადგა. რომ არა ჯერმლის გულმოდგინე ჩარევა და არაბული სახელმწიფოებისადმი გამოქომაგება, ისრაელის არმია მზად იყო აღლო ეს დედაქალაქები, ხოლო საჰაერო ოპერაცია, რომელზეც ჩ. და უ. ჩერჩილების წიგნის ამ თავშია საუბარი, სამხედრო სასწავლებლების ქრესტომათიული სახელმძღვანელოებში შევიდა როგორც ნიმუში ომის გონივრული დაგეგმვისა და მამაცობისა.

დარტყმა ჰაერიდან

5 ივნისს, ორშაბათს, 7 საათსა და 45 წუთზე ისრაელის ავიაციამ პირველი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს. დარტყმა ათი აეროდრომისკენ იყო მიმართული. ცხრა აეროდრომს ზუსტად 7 საათსა და 45 წუთზე შეუტიეს. მეათე, ფაილის აეროდრომი სულ რამდენიმე წუთის შემდეგ დაიბომბა, როდესაც ის ჯერ კიდევ სანახევროდ დაეფარა ნისლს, მთელ არხზე რომ ჩამოწოლილიყო. იმისათვის, რომ ერთდროულად გასულიყვნენ ობიექტზე და მაქსიმალურად გამოეყენებინათ მოულოდნელობის ფაქტორი, ისრაელელი პილოტები ზუსტად იცავდნენ გრაფიკს. თითოეულ თავდასხმას ორი წყვილისაგან შემდგარი თვითმფრინავების რგოლი ახორციელებდა. თვითმფრინავები მიზანს აღწევდნენ და დავალებას ასრულებდნენ ზუსტად გრაფიკის მიხედვით. ყველა ყუმბარა ფეთქდებოდა. ამ იერიშის დროს თავდასხმა განხორციელდა შემდეგ აეროდრომებზე: ელ-არიშზე, ჯებელ ლიბნიზე, ბირ გიფგაფაზე, ბირ თაშადაზე, აბუ სუეიროზე, ქაბრითზე, ინკასაზე, დასავლეთ ქაიროზე, ბენი სუეიფზე და ფაიდზე.

ეგვიპტური თვითმფრინავების ძირითადი მასა აეროდრომებზე იქნა მიმწყვდეული. თითო-ოროლა ეგვიპტური თვითმფრინავი, რომლებიც ისრაელელთა საჰაერო შეტევის ჟამს ჰაერში იმყოფებოდა, სავარჯიშო გაფრენებს ახორციელებდა. იგულისხმება ოთხად-ოთხი საწვრთნელი თვითმფრინავი, რომლებსაც მართავდნენ ინსტრუქტორი და სამი კურსანტი.

ისრაელელებმა ოთხი მიზეზის გამო განახორციელეს შეტევა 7 საათსა და 45 წუთზე (ისრაელის დროით):

1. ეგვიპტელთა საბრძოლო მზადყოფნის დონემ კულმინაციას მიაღწია და იწყო თანდათანობითი დაცემა. დაბეჯითებით შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ეგვიპტელებს, რომლებმაც ომის დაწყებამდე სამი კვირით ადრე სინაიში აგრესიული ზრახვებით დაიწყეს ჯარის კონცენტრაცია. ყოველდღიურად გამთენიისას ასაფრენ ზოლზე სასტარტო ხუთწუთიანი მზადყოფნის მდგომარეობაში მიგ-21-ის რამდენიმე რგოლი ჰყავდათ. შესაძლოა, ისინი საპატრულოდ დღის ამ მონაკვეთში ერთ ან ორ მიგს უშვებდნენ ჰაერში, მაგრამ სრულიად ლოგიკური იქნებოდა იმის ვარაუდიც, რომ მზადყოფნის ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელებულიყო. თუკი რიჟრაჟიდან 2-3 საათის შემდეგ არაფერი მოხდებოდა, მაშინ ეგვიპტელებს უცილობლად უნდა შეენელებინათ სიფხიზლე და გამოერთოთ რამდენიმე რადიოსალოკაციო სადგური, ისრაელელებმა გადაწყვიტეს, რომ 7 საათსა და 30 წუთისთვის (8.30 წ. ქაიროს დროით) ეგვიპტელებს უნდა შეენელებინათ ყურადღება.

2. ძალზე ხშირად საჰაერო თავდასხმები გამთენიისას ხორციელდებოდა ხოლმე. პილოტები თვითმფრინავში უნდა ისხდნენ გაფრენამდე სულ ცოტა სამი საათით ადრე მაინც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი შუაღამისას უნდა ადგნენ, ანდა სულაც თეთრად გაათენონ ღამე. ომის პირველი დღის საღამოსთვის მათ უძილოდ გატარებული ექნებოდათ 36 საათი, მთელი ღამის ჩათვლით, თანაც იმ პერსპექტივით, რომ ომის მეორე დღესაც ვერ დაიძინებდნენ, ხოლო თუ პირველი დარტყმის ვადად დილის 7.45 შეირჩეოდა, მაშინ პილოტებს 4 საათამდე შეეძლოთ ეძინათ.

3. წლის ამ დროს ნილოსის დიდი ნაწილი, მისი დელტა და სუეცის არხი დილდილობით ნისლითაა დაფარული, 7 საათისა და 30 წუთისათვის ნისლი იფანტებოდა. როგორც წესი, 8 საათზე მეტეოროლოგიური პირობები ოპტიმალურია. ამას გარდა, მზეს აქვს დახრის კუთხე, ხედვის საუკეთესო პირობებს რომ უზრუნველყოფს, ხოლო აბსოლუტური უქარობა ხელს უწყობს ბომბების ზუსტ მოხვედრას ასაფრენ ზოლებზე.

4. 7.45 წ. ისრაელის დროით შეესატყვისება 8.45 წ. ეგვიპტის დროით. მაგრამ რატომ აირჩიეს შეტევისათვის ისრაელელებმა 7.45 წ. და არა 8.00 სთ ანდა 8.15 წ. სამუშაო დღე ეგვიპტის დაწესებულებებში დღის 9 საათზე იწყება. ამ ვადამდე 15 წუთით ადრე იერიში ნიშნავდა, რომ ყველა სამხედრო მოსამსახურე – გენერლები, მეთაურები, პილოტები, მომსახურე პერსონალი ამ დროს გზაში იქნებოდა და მათ სამუშაო ადგილებზე მორიგეებსღა თუ ნახავდით.

გენერალი ხოდი მთავარ შტაბში იმყოფებოდა, როდესაც ბოლო ეგვიპტური საპატრულო თვითმფრინავი აფრინდა ცაში და ისრაელური რადარების ეკრანზე გამოჩნდა. გენერალმა წამზომი ჩართო. მან ძალიან კარგად იცოდა, თუ რამდენ ხანს შეეძლო მიგ-21-ს ფრენა: 7.45 წთ. თვითმფრინავს საწვავი უნდა გათავებოდა და ძირს დაშვებულიყო.

პირველი დარტყმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ასაფრენი ზოლების დაზიანება და მიგ-21-ების მაქსიმალური განადგურება. მიგ-21 ერთადერთი ეგვიპტური თვითმფრინავი იყო, რომელსაც შეეძლო ეფექტური წინააღმდეგობა გაეწია ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის მათი მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ეგვიპტის შორი რადიუსის მოქმედების ბომბდამშენი ავიაციის განადგურება იყო, რომელიც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. მიგ-21-ის 8 წყვილი მაშინ განადგურდა, როდესაც ისინი უკვე აფრენას აპირებდნენ. მანამდე, ისრაელელებმა ეგვიპტელები აიძულეს პირველი ხაზის 20 თვითმფრინავი (12 მიგ-21 და 8 მიგ-19) ქაიროსა და არხის რაიონიდან (სწორედ აქ იყო თავმოყრილი ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ბაზები) სამხრეთში, ჰურგადში გადაესროლათ, სადაც თვითმფრინავები, ფაქტიურად, უსაქმოდ დარჩნენ და მონაწილეობა ვერ მიიღეს ბრძოლაში. ისრაელმა ამას ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მიაღწია, როცა განახორციელა ავიაციის დემონსტრაციული სადაზვერვო გაფრენები სამხრეთში, აქაბის ყურეში. ამ გაფრენებმა ეგვიპტელები დაარწმუნა, რომ ისრაელის სარდლობას შეტევის განხორციელება განზრახული ჰქონდა სინაის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის მარცხენა ფლანგიდან. სინამდვილეში კი შეტევა იგეგმებოდა მარჯვენა ფლანგიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან. ჰურგარდში ეგვიპტური თვითმფრინავები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როდესაც ეგვიპტეს ისრაელის ურო დაატყდა თავს, ამ ოცმა მიგ-მა კურსი ლუქსორისა და ზემო ეგვიპტის სხვა ბაზებისაკენ კი არ აიღო, რომელთა დაცვა ასე თუ ისე შეეძლოთ ჰაერიდან, არამედ ჩრდილოეთისაკენ, არხის რაიონის ბაზებისაკენ გაფრინდნენ, სადაც უკვე აღარ არსებობდა დასაფრენი ზოლები და ისრაელის ავიაციის ნადავლად იქცნენ.

ამ თვითმფრინავების გარდა ჰაერში აფრინდა მხოლოდ ორი რგოლი ოთხ-ოთხი მიგ-ის შემადგენლობით, რომლებმაც მათ განადგურებამდე ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ბაზებზე შეტევის მონაწილე ორი ისრაელური თვითმფრინავის ჩამოგდება შესძლეს.

ისრაელის თვითმფრინავების რგოლები 4-4 მანქანის შემადგენლობით სხვადასხვა კურსით გაფრინდნენ. ერთნი ირაოს აკეთებდნენ ზღვაზე და ქაიროს, არხისა და სინაის რაიონში მდებარე ეგვიპტის ბაზებს ესხმოდნენ თავს. დანარჩენები პირდაპირი გზით მიფრინავდნენ ზემო ეგვიპტის ბაზების დასაბომბად. „ჩვენ დროულად აღმოვჩნდით შტურვალთან, – თქვა შემდეგ ისრაელის გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ეზერ ვაიცმანმა. ისრაელის ყველა თვითმფრინავი ძალიან დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდა. ზღვის დონიდან დაახლოებით 30 ფუტის მანძილზე, და ამიტომაც ეგვიპტურმა რადარებმა ვერ შესძლეს მათი აღმოჩენა. როგორც ჩანს, ისრაელელები უფრო რუსულ და ამერიკულ რადარებს უფრთხოდნენ, ვიდრე ეგვიპტურს.

იმ დროს ახლო აღმოსავლეთის ომში რადარების აქტიურობა ძალზე დიდი იყო. ეგვიპტელთა გარდა, რომლებსაც მარტო სინაის ნახევარკუნძულზე 16 რადიოსალოკაციო სადგური გააჩნდათ, სხვა ცნობისმოყვარენიც იყვნენ, რომლებსაც სიტუაციის დაყნოსვა სურდათ.

რუსული საზღვაო ხომალდები რაიონში ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მოვლენების განვითარებას. რუსებს არც ამერიკელთა მე-6 ფლოტი ჩამორჩებოდა, რომელიც სახომალდო რადარებს და ელექტრონული მოწყობილობით აღჭურვილი სადაზვერვო გემის „ლიბერტის“ გამოყენების გარდა ავიამზიდებზე ბაზირებული თვითმფრინავებით ახორციელებდა რეგულარულ ავიადაზვერვას. ინგლისელებიც კი აკვირდებოდნენ რაიონს კვიპროსის მთა ტრუდოსზე განლაგებული მათი ობსერვატორიიდან.

ანტირადარული ქმედების სისტემამ უზარმაზარი ცვლილებები განიცადა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც იგი პირველად გამოიყენეს ინგლისელებმა მოწინააღმდეგის რადარების მწყობრიდან გამოსაყვანად, მათი მუშაობის შესაფერხებლად ანდა ყალბი სიგნალების მისაცემად, არც ისრაელელები იყვნენ ახალბედები დეზინფორმაციის ამ ხელოვნებაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ინგლისელებმა გამოიყენეს მძლავრი რადიოგადაცემები გერმანული გამანადგურებლებისა და ბომბდამშენების პილოტებისადმი გერმანულ ენაზე ცრუ ბრძანებების გადასაცემად მათი მიღების სიხშირეებზე, ამ გადამცემების ოპერატორებად დაიქირავეს ომამდე გერმანიაში მცხოვრები ებრაელები. შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ ისრაელს უკანასკნელი ადგილი არ ეკავა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ელექტრონული ომის წარმოების მეთოდებს ფლობდნენ.

23 ეგვიპტური რადიოსალოკაციო სადგური (სინაიზე განლაგებული 16-ის ჩათვლით) ისრაელის სამხედრო ავიაციამ მწყობრიდან გამოიყვანა მხოლოდ ორშაბათს შუადღის შემდეგ. ანტისარადარო მოქმედებები განხორციელდა ორშაბათს 7 საათსა და 45 წუთზე, რათა მოწინააღმდეგის ეჭვი არ გამოეწვიათ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამის შემდეგ ისრაელელებმა ნამდვილი „თამაშები“ მოუწყვეს ეგვიპტურ და არა მარტო ეგვიპტურ, სარადარო სისტემას. შეიძლება, რომ მათ „თამაში“ გაუბეს სხვა ცნობისმოყვარეებსაც, დიდი ყურები რომ ჩამოკიდეს მსოფლიოს ამ რაიონში.

როდესაც ისარელის ავიაციის პირველი ტალღა სამიზნეებს ანადგურებდა, მეორე ტალღა უკვე გზაში იყო, მესამე კი ცაში ადიოდა. ეს ტალღები 10 წუთიანი ინტერვალებით იყო დაყო-

მოშე დაიანი

ფილი. ოთხი თვითმფრინავისაგან შემდგარ თითოეულ რგოლს 7 წუთი ეძლეოდა სამიზნეს გასანადგურებლად: ერთი დასაბომბი შეტევა და ორი ან სამი შეტევა მიწისზედა ობიექტების მცელავი დაცხრილვისათვის. დამატებითი სამი წუთი ეძლეოდათ ნავიგაციური ხელსაწყოების შეცდომების გამოსასწორებლად და დამატებითი შეტევის განსახორციელებლად. ისრაელელები წარმოუდგენელი შემართებით მოქმედებდნენ. არხის მახლობლად განლაგებული მთავარი ეგვიპტური ბაზების გამანადგურებელი თვითმფრინავები განუხრელად იცავდნენ ფრენის შემდეგ გრაფიკს:

მიზნამდე მისაღწევი დრო – 22 ½ წთ.
მიზნის თავზე ყოფნის დრო – 7 ½ წთ.
დაბრუნება ბაზაში – 20 წთ.
წესრიგში მოყვანა, ტექდათვალიერება – 7 ½ წთ.
სულ: 57 ½ წთ.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ისრაელის თვითმფრინავებს სამიზნის თავზე მეორედ გამოჩენა პირველი შეტევიდან სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ შეეძლოთ.

ზურგში საჰაერო სივრცისა და თავად ისრაელის სამხედრო-საჰაერო ჯარების სარდლობამ მხოლოდ 12 თვითმფრინავი დატოვა: 8 ცაში საპატრულო სამსახურისათვის და 4 ასაფრენ ზოლებზე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში.

ისრაელი დიდ თამაშს ეწეოდა. მას შეეძლო ყველაფრის მოგება, ანდა ასევე ყველაფრის წაგება, მაგრამ მან გულდაგულ გათვალა რისკი და ბანქოს ქაღალდს თავდაჯერებით ისროდა.

საუბრობდა რა ეგვიპტური აეროდრომის დაბომბვის შედეგებზე, გენერალმა ვეიცმანმა ამერიკული გამოთქმა გაიხსენა: „სამიზნეზე პირველი შეტევის შემდეგ პილოტი თავქუდმოგლეჯილი გარბის“. მაგრამ იქვე დაუმატა: „ეს ჩვენს პილოტებს არ ეხებათ“. ისრაელელი პილოტები რამდენიმე შეტევას ახორციელებდნენ, რათა მაქსიმალური ზარალი მიეყენებინათ მოწინააღმდეგის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის. მათ მიმართეს პიკირებას მსხვილმასშტაბიანი და მაღალეფექტური დაბომბვისათვის. „ჩვენ მართალნი აღმოჩნდით, – შენიშნა ვეიცმანმა, – როდესაც არ გავერთეთ სტრატეგიული დაბომბვებით. ჩვენ არ ვიყავით დაინტერესებულნი მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვით, ხოლო ასაფრენი ზოლების მწყობრიდან გამოსაყვანად და თვითმფრინავების გასანადგურებლად გამანადგურებლები გაცილებით ეფექტურია“.

ეგვიპტური ავიაციის თითქმის მთლიანი განადგურება მიწაზე მიღწეულ იქნა არა მხოლოდ უეცარი თავდასხმით, არამედ ორიგინალური კონსტრუქციის მქონე ბომბის გამოყენების მეშვეობითაც. ეს ბომბი, რომელიც ისრაელელებმა გამოიგონეს და დახვეწეს, სწორედ ასაფრენი ზოლების გასანადგურებლად შეიქმნა. როდესაც ამ ბომბს აგდებენ, მის ვარდნას პირუკუ ქმედების რაკეტა ანელებს. შემდეგ დამატებითი რაკეტა ბომბს არჭობს ასაფრენი ზოლის ბეტონში, სადაც მოქმედებას იწყებს ასაფეთქებელი მოწყობილობა. ეს მოწყობილობა შეიძლება ამუშავდეს მყისიერად, ანდა განსაზღვრული დროის შემდეგ. საერთოდ მიჩნეულია, რომ ასაფრენი ზოლების რემონტი არაა რთული საქმე, მაგრამ მდგომარეობა იცვლება, როდესაც ბომბები სხვადასხვა ინტერვალით ფეთქდება.

ეს ორიგინალური კონსტრუქციის ბომბი დიდი სიჩქარით და დაბალ სიმაღლეზე მფრინავ თვითმფრინავს შესაძლებლობას აძლევს ეფექტურად დააზიანოს ასაფრენი ზოლები. ამ მიზნით ნასროლი ჩვეულებრივი ავიაბომბი მხოლოდ ზედაპირულად აზიანებს ზოლს და რიკოშეტით უკან ვარდება, ახალმა ბომბმა საშუალება მისცა ისრაელურ თვითმფრინავებს პიკირებით დაბომბვისას თავი აერიდებინათ ეგვიპტური საზენიტო ქვემეხებისგან.

მაგრამ ყველა ისრაელური თვითმფრინავი არ იყო აღჭურვილი ახალი ბომბებით. ამიტომაც მრავალი ასაფრენი ზოლი განადგურდა ჩვეულებრივი 500 და 1000 ფუნტიანი ბომბებით. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები ცაში და მიწაზე განადგურდა თითქმის მხოლოდ საბორტე ქვემეხების ცეცხლით.

ეგვიპტური ბაზებიდან საპასუხო საზენიტო ცეცხლი ნაკლებ ინტენსიური აღმოჩნდა, ვიდრე ამას ისრაელელები ელოდნენ. მაინცდამაინც არც სიზუსტით გამოირჩეოდნენ არაბები. არც ერთი ისრაელური თვითმფრინავი არ იქნა ჩამოგდებული საბჭოური წარმოების იმ რამდენიმე მიწა-ჰაერის რაკეტით, რომლებსაც ეგვიპტელები უშვებდნენ. იმ სიმაღლისათვის, რომელზეც ისრაელელები დაფრინავდნენ, რაკეტები სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა. ისინი ძალიან ნელა იღებდნენ სიჩქარეს და ამიტომაც ვერ აზიანებდნენ თვითმფრინავებს, ზღვის დონიდან 400 ფუტზე დაბლა რომ დაფრინავდნენ. ერთმა ისრაელელმა პილოტმა თვალი მოკრა საგანს, რომელიც მას თავდაპირველად თვითმფრინავი ეგონა. საგანი აუჩქარებლად მოფრინავდა, თითქოს მასთან დაწყვილება განუზრახავსო. კარგად რომ დაუკვირდა, პილოტი მიხვდა, რაკეტა არისო. იგი იმავე მიმართულებით მიფრინავდა, საითაც თვითმფრინავი და მას გვერდიდან უახლოვდებოდა. პილოტმა მარჯვედ მიმართა თვითმფრინავი რაკეტისაკენ, ისე, რომ რაკეტა თავის ქვეშ გაძვრინა. მალე რაკეტა თვალთახედვის არედან გაქრა. რაკეტის ეს სახეობა დიდხანს რჩებოდა რუსული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მთავარ საშუალებად. როგორც ჩანს, რუსი სამხედრო ექსპერტები ძალზე შეშფოთებულნი იყვნენ რაკეტის არაეფექტურობით და იმ გარემოებითაც, რომ ზოგიერთი მისი ნიმუში საზღვარგარეთ, დასავლეთში, აღმოჩნდა.

ისრაელის სამოქალაქო მოსახლეობაში ძლიერ შეშფოთებას იწვევდა ნასერის მიერ რეკლამირებული რაკეტები „მიწა-მიწა“, რომლებსაც ეგვიპტის პრეზიდენტის რწმუნებით, თელ-ავივამდე შეეძლო მიღწევა. წლების მანძილზე ცნობილი იყო, რომ გერმანელი და აღმოსავლეთ ევროპელი მეცნიერების ჯგუფი მუშაობდა ქაიროს მიდამოებში ნასერის მიერ შექმნილ კვლევით ცენტრში და „რაკეტები“ იმ პარადების უცვლელი სამკაულები იყო, ქაიროში რევოლუციის დღის აღსანიშნავად რომ იმართებოდა, მაგრამ პარადების იქით საქმე არ წასულა და, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში რაკეტები რეალობად არ იქცევა. ისრაელის ავიაციამ არ გამოიყენა შემთხვევა და არ დაბომბა ეს საკვლევი ცენტრი, სადაც უცილობლად ტარდებოდა ცდები მომწამვლელი გაზების შესაქმნელად, ეგვიპტური არმია იემენში რომ იყენებდა. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსმა ოფიცერმა გულდაწყვეტით თქვა: „ეს ის გადაწყვეტილებაა, რომლის გამოც ჩვენ ოდესღაც ვინანებთ.“

80 წუთის მანძილზე ისრაელური თვითმფრინავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ ეგვიპტის აეროდრომებს. შემდეგ 10 წუთით შეისვენეს და ეგვიპტელებს კვლავ 80 წუთით გაუგრძელეს კოშმარი. ამ 2 საათისა და 50 წუთის მანძილზე ისრაელელებმა მოახერხეს ეგვიპტის ავიაციის თავდასხმის პოტენციალის განადგურება. ამის შემდეგ ეგვიპტის ავიაცია, როგორც ბრძოლისუნარიანი ძალა, აღარ არსებობდა.

საერთოდ, ომის პირველსავე დღეს დაიბომბა ეგვიპტელთა ცხრამეტი აეროდრომი. ზემოთ ნახსენები ათი აეროდრომის გარდა, იმ დილით შეტევები განხორციელდა მანსურის, ჰელუანის, ელ-მინეს, ალმაზის, ლუქსორის, დეევერსუარის, ჰურგარდის, რას ბანასეს აეროდრომებზე, აგრეთვე, ქაიროს საერთაშორისო აეროდრომზე. ისრაელელებს მიაჩნიათ, რომ ამ 170 წუთში ეგვიპტელებს არსებული 340 სამხედრო თვითმფრინავიდან გაუნადგურეს სამასზე მეტი, მათ შორის, ტუ-16-ის ტიპის ოცდაათივე შორეული რადიუსის მქონე ბომბდამშენი.

ერთადერთი აეროდრომი, რომლის ასაფრენი ზოლები არ დაზიანებულა, იყო მთავარი აეროდრომი ელარიმში. ისრაელელები იმედოვნებდნენ, რომ მას მოწინავე ბაზად გამოიყენებდნენ ჯარების მოსამარაგებლად. აგრეთვე დაჭრილთა ევაკუაციისათვის. უკვე სამშაბათს აეროდრომი შეუდგა ამ ფუნქციების შესრულებას.

ბევრ ეგვიპტურ ბაზაზე ისრაელის ავიაცია ანადგურებდა ყველა თვითმფრინავს და ხელუხლებელს ტოვებდა ყველა მაკეტს. შეკითხვაზე, თუ რატომ მოიქცნენ ებრაელები ასე – იმიტომ, რომ ეგვიპტელებს ცუდი მაკეტები ჰქონდათ, თუ იმიტომ, რომ ისრაელის დაზვერვამ ივაჟკაცაო, ერთმა ისრაელელმა ოფიცერმა უპასუხა, ორივე მიზეზის გამოო და დასძინა, აბუ სუეიროში, ისმაილიის მახლობლად, მაკეტებიც და ნამდვილი თვითმფრინავებიც ერთმანეთში ავზილეთო. მან დასძინა, რომ თუ საუბარია სინაის ნახევარკუნძულზე მდებარე აეროდრომებზე, რომელთა შესახებაც ისრაელელებს შედარებით სრული ინფორმაცია ჰქონდათ, ვიდრე მთავარ ეგვიპტურ ბაზებზე, მაშინ უნდა ითქვას, იქ შეცდომებს ადგილი არ ჰქონიაო.

ისრაელელებს უნდა გაეთვალისწინებინათ ხმელთაშუა ზღვაში საბჭოთა სამხედრო გემების ყოფნა, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ეგვიპტის სარდლობასთან და შეეძლოთ ათ წუთში მიეწოდებინათ ინფორმაცია მათი რადარებით ისრაელელთა თვითმფრინავების აღმოჩენის შემდეგ. ამიტომაც გენერალმა ხოფმა გათვალა, რომ მას ჰქონდა ეგვიპტური ავიაციის გასანადგურებლად მხოლოდ რამდენიმე საათი, იორდანიასთან და სირიასთან ომის დაწყებამდე. თუ უფრო დავაზუსტებთ, სულ 4 საათი ჰქონდა. შუადღემდე იორდანიასა და სირიას ომში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ დროისათვის ისრაელელებმა მოასწრეს ეგვიპტური ავიაციის დიდი ნაწილის განადგურება და ახლა მზად იყვნენ მთელი მათი ძლიერება მიემართათ ახალი მოწინააღმდეგეებისაკენ, რომლებიც დაგვიანებით ჩაერთვნენ ომში. „მე შევძელი სულ რაღაც 25 წუთში გამენადგურებინა როგორც სირიის, ისე იორდანიის ავიაცია“, – შენიშნა ხოფმა.

ორშაბათს, შუადღემდე, სირიელებმა რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს ხაიფის უბესთან ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნის რაიონში და იერიში მიიტანეს მეგიდოს სამხედრო აეროდრომზე, სადაც რამდენიმე თვითმფრინავის მაკეტის განადგურება მოახერხეს. ისრაელელებმა შური იმითი იძიეს, რომ შეუტიეს სირიელთა სამხედრო-საჰაერო ბაზას დამასკოს მახლობლად.

მას შემდეგ, რაც შუადღისას იორდანიის ავიაციამ იერიში მიიტანა ქფარ-სირკინის მეორეხარისხოვან სამხედრო-საჰაერო ბაზაზე, რის შედეგადაც მიწაზე განადგურდა სატრანსპორტო თვითმფრინავი „ნორდ-ატლასი“, ისრაელის თვითმფრინავებმა დაბომბეს იორდანიის, მაფრაკისა და ამანის აეროდრომები და მწყობრიდან გამოიყვანეს ისინი, ააფეთქეს აგრეთვე აჯლუნის სარადარო სადგური.

ორშაბათს, შეღამებამდე, ისრაელელებმა კვლავ „მოინახულეს“ უმეტესობა იმ 23 აეროდრომისა, რომლებიც იმ დღეს უკვე დაბომბეს. ჩვეულებრივი ბომბების გარდა ისრაელელებმა გამოიყენეს შენელებული მოქმედების ბომბები, რომლებიც მთელი ღამის მანძილზე პერიოდულად ფეთქდებოდა და პარალიზებას უკეთებდა ასაფრენი ზოლების შეკეთების ნებისმიერ ცდას. და თითქოს ყოველივე ეს არასაკმარისიაო, ისრაელელები მთელი ღამე განაგრძობდნენ ამ ბაზების დაბომბვას.

როგორც კი მეორე დილით ერაყის თვითმფრინავები ქალაქ ნეთანიას დაესხნენ, ისრაელელებმა მყისვე დაბომბეს ერაყის სამხედრო-საჰაერო ბაზა გ-3, ერაყ-იორდანიის საზღვარზე რომ მდებარეობდა.

ომის მეორე დღის ბოლოსათვის ისრაელელებს განადგურებული ჰყავდათ 416 თვითმფრინავი, მათ შორის 393 – ხმელეთზე.

ლიბანის მონაწილეობა ომში ორი „ხოკერ-პანტერის“ ტიბერიადის ტბის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გაგზავნით ამოიწურა. ერთი მათგანი ჩამოაგდეს. ამით პატივი სცა რა თავის წარმოდგენას ღირსებაზე, ლიბანი რაინდულად გაეცალა ბრძოლის ველს.

მოშე დაიანი და გენერალი გონენი

ამ მონაცემების ანალიზი მოცემულია ცხრილში:

არაბული ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების დანაკარგი მეორე დღის ბოლოსათვის

ეგვიპტე		
ბომბდამშენები	ტუპოლევი-16	30
	ილიუშინი-28	27
	სუხოი-7	10
გამანადგურებლები	მიგ-21	95
	მიგ-19	20
	მიგ-15/17	82
სატრანსპორტო	ან-12	8
თვითმფრინავები	ილიუშინი-14	24
	მი-4	1
	მი-6	8
ვერტმფრენები	სხვა	4
	სულ:	309
სირია	ილიუშინი-28	2
ბომბდამშენები	მიგ-21	32
	მიგ-15/17	23
გამანადგურებლები	მი-4	3
ვერტმფრენები	სულ:	60
იორდანია	ხანტერი	21
გამანადგურებლები	თვითმფრინავები	6
სატრანსპორტო	ვერტმფრენები	2
თვითმფრინავები	სულ:	29
ერაყი	ტუპოლევი-16	1
ბომბდამშენები	მიგ-21	9
გამანადგურებლები	ხანტერი	5
სატრანსპორტო	თვითმფრინავები	2
	სულ:	17
ლიბანი	ხანტერი	1
გამანადგურებლები	საერთო შედეგი:	416

ომის პირველ ორ დღეში ისრაელელმა მფრინავებმა განახორციელეს 1000-ზე მეტი გაფრენა. ბევრი მათგანი დღეში 8-ჯერ ადიოდა ჰაერში, სამშაბათის ბოლოსთვის ისრაელმა დაკარგა 26 თვითმფრინავი, მათ შორის 6 სასწავლო მანქანა „ფუგა-მაგისტრი“, რომლებიც აღჭურვილი იყო 68/80 მილიმეტრიანი ჯავშანმხვრეტი რაკეტებით. მათ დაკარგეს 21 მფრინავი, რომელთა თითქმის ნახევარი ტყვედ ჩაიგდეს სირიელებმა და ეგვიპტელებმა. მოგვიანებით ორი მათგანი ერაყმა დააბრუნა, ორიც – იორდანიამ. არსებობს ცნობები, რომ ერთი პილოტი ეგვიპტეში ლინჩის წესით დასაჯეს მაშინ, როდესაც მეორე მთელი და უვნებელი დააბრუნეს. ამის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება ეგვიპტელთა ტყვეობიდან კიდევ ორი მფრინავის გამოხსნის თაობაზე. ორმა პილოტმა, რომელთა მანქანებიც სირიის თავზე ჩამოაგდეს, მიუხედავად ისრაელის საკონტროლო კოშკის ბრძანებისა პარაშუტით დაეშვითო, საკუთარ მანქანებთან ერთად სიკვდილი არჩია სირიელების ტყვეობას.

მიახლოებითი გამოთვლებით, ეგვიპტელთა ზარალმა მათი ავიაციის განადგურების შედეგად 500 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ თანხაში უნდა ჩავრთოთ მიწისზედა მოწყობილობათა ღირებულება. იგულისხმება 23 სარადარო სადგური და „მიწა-ჰაერის“ რაკეტების გამშვები მექანიზმები. ასაფრენი

არიელ შარონი და მოშე დაიანი

ზოლები საკმაოდ სწრაფად გარემონტდა და რუსებს რომ მოენდომებინათ, ისინი სულ რაღაც 6 თვეში შესძლებდნენ ეგვიპტის ავიაციის დანაკარგების შევსებას.

რა თქმა უნდა, ტექნიკა ყველაფერს არ წყვეტს და სავარაუდოა, რომ კიდევ არაერთი წელი დასჭირდება ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების სულიერი მხნეობის აღდგენას. ვარაუდობენ, რომ ეგვიპტის 350 სამხედრო მფრინავიდან 100 დაიღუპა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოგების დიდი რაოდენობა ხმელეთზე განადგურდა, როდესაც ისინი გასაფრენად ემზადებოდნენ, მაშინ იმ 100 დაღუპულის რიცხვში ბევრი ძალზე გამოცდილი ეგვიპტელი მფრინავი უნდა მივათვალოთ.

ნასერმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ისრაელის ავიაცია რიცხობრივად ძალზე ჩამორჩებოდა ეგვიპტესას. ისრაელს სულ 300 თვითმფრინავი ჰყავდა, რომელთაგან 50-60 სპეციალური ჯავშანმხვრეტი რაკეტებით აღჭურვილი სასწავლო მანქანა „ფუგა-მაგისტრი“ იყო. მაგრამ ნასერს მოახსენეს, რომ ისრაელის თვითმფრინავები ტალღა-ტალღად უტევდნენ 2 საათისა და 50 წუთის მანძილზე მის 19 ავიაბაზას. ინტერვალი კი ათწუთიანი იყო.

როდესაც პრეზიდენტობიდან გადადგომა მოისურვა, ნასერმა 9 ივნისს თავის სიტყვაში განაცხადა: „თუ ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, რომ ეს იყო გაცილებით ძლიერი დარტყმა, ვიდრე ის, რომელსაც მოველოდით, ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ის იყო, უცილობლად, უფრო ძლიერი, ვიდრე ამის შესაძლებლობა მოწინააღმდეგეს ჰქონდა“...

„მტერმა ერთდროულად შემოუტია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყველა სამხედრო და სამოქალაქო აეროდრომს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ჰქონდა რაღაცის იმედი, ჩვენი შურისძიებისაგან, მისი საჰაერო სივრცის დასაცავად გამოყოფილ ჩვეულებრივ ძალებს რომ აღემატებოდა. გადაუჭარბებლად შეიძლება განვაცხადოთ, რომ მტერმა იმაზე სამჯერ უფრო მძლავრი ავიაცია ჩააბა ბრძოლაში, ვიდრე მას გააჩნდა.“

პრეზიდენტ ნასერის ეს მტკიცება ძალზე ნიშანდობლივია. იგი, როგორც ჩანს, ემყარებოდა ბრძოლისათვის მზადყოფნის გრაფიკს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მისი საკუთარი სამხედრო-საჰაერო ძალები. ეგვიპტის საჰაერო ძალების სრულიად საიდუმლო გეგმებიდან, რომლებიც ისრაელელებმა ელ-არიშში იგდეს ხელთ, ცნობილი გახდა, რომ ეგვიპტელები ანგარიშობდნენ საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით. მათ თვითმფრინავებს ისრაელის ობიექტებზე ხელმეორედ გამოჩენა შეეძლოთ პირველი შეტევიდან მხოლოდ სამი საათის შემდეგ. ეს მაშინ, როცა ისრაელთათვის საამისოდ ზუსტად ერთი საათი აღმოჩნდა საკმარისი. ეს მით უფრო საოცარი იყო, რომ ბევრ ეგვიპტურ თვითმფრინავს გაცილებით მოკლე მანძილი ჰქონდა საფრენი სინაის აეროდრომებიდან ისრაელის მთავარ ბაზებამდე მისასვლელად, ვიდრე ისრაელელებს ქაიროსა და სუეცის არხის გასწვრივ მდებარე ეგვიპტურ ბაზებამდე. საწვავის მისაღებად ხმელეთზე ეგვიპტელებს ორ საათზე მეტი სჭირდებოდათ, მაშინ, როცა ისრაელთათვის 7-10 წუთიც კი საკმარისი იყო.

ეგვიპტელ მფრინავს დღეში ორი გაფრენა უნდა შეესრულებინა. ბევრი ებრაელი მფრინავი კი ორშაბათს 8-ჯერ ავიდა ცაში, ზოგიერთი კი – უფრო მეტჯერ.

სხვაობა ამ მონაცემებს შორის ძალზე შთამბეჭდავია და სწორედ ამაში მდგომარეობს ისრაელელთა გამარჯვების მთავარი მიზეზი.

არაა გასაკვირი, რომ ნასერმა ეს წარმოუდგენლად მიიჩნია. არ გამოვრიცხავთ, რომ დაადანაშაულა რა ინგლისი და აშშ ისრაელის სასარგებლოდ საჰაერო ინტერვენციაში, მან მიაგნო ხელსაყრელ საბაბს ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების სამარცხვინო მარცხის გასამართლებლად. შეიძლება მას გულწრფელად სჯეროდა კიდეც თავისი სიტყვებისა.

ხუთშაბათს, 8 ივნისს, ისრაელის წარმომადგენელმა გვაცნობა ნასერსა და ჰუსეინს შორის სატელეფონო საუბრის თაობაზე, რომელიც სამშაბათს, 4 საათსა და 50 წუთზე გაიმართა. მოგვყავს ამ საუბრის ტექსტი:

– ნასერი: როგორ ბრძანდებით? მსურს შევიტყო ძმისაგან, გრძელდება თუ არა ბრძოლა ფრონტის მთელ ხაზზე, ხომ არ ინებებდა თქვენი უდიდებულესობა ამერიკელთა და ინგლისელთა მონაწილეობის შესახებ განცხადების გაკეთებას?

– ჰუსეინი: (გაუგებარი პასუხი).

– ნასერი: ალო, მოვიხსენიებთ ჩვენ აშშ-ს და ინგლისს თუ მხოლოდ აშშ-ს?

– ჰუსეინი: აშშ-ს და ინგლისს.

– ნასერი: აქვთ თუ არა ინგლისელებს ავიამზიდები?

– ჰუსეინი: (გაუგებარი პასუხი).

– ნასერი: კეთილი. მეფე ჰუსეინი განცხადებით გამოვა. მეც ასევე მოვიქცევი.

– ნასერი: ომში ჩვენს ხელთ არსებული ყველა ძალა ჩავაბით. ყველა ფრონტზე მთელი ღამის მანძილზე ვიბრძოდით. და თუ რაღაც სიძნელეები შეგვექმნა, ეს არაფერს ნიშნავს. ჩვენ გავიმარჯვებთ ყველაფრის მიუხედავად. ჩვენთან არს ღმერთი. ხომ არ ნებავს თქვენს უდიდებულესობას გააკეთოს განცხადება ამერიკელთა და ინგლისელთა მონაწილეობის შესახებ?

– ჰუსეინი: (გაუგებარი პასუხი).

– ნასერი: ღმერთმანი, ვაცხადებ, რომ გამოვალ განცხადებით, და თქვენც გააკეთებთ განცხადებას, ჩვენ ვიზრუნებთ, რომ სირიელებმაც გააკეთონ განცხადება, რომ ჩვენზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ ამერიკული და ინგლისური თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა ავიამზიდებზე აქვთ. ჩვენ გამოვალთ განცხადებით, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ამაზე, ყველაფერი რიგზე იქნება.

– ჰუსეინი: კეთილი. თანახმა ვარ.

– ნასერი: ათასი მადლობა, სულით არ დაეცეთ. ჩვენ მთელი გულით თქვენთანა ვართ. დღეს ჩვენი თვითმფრინავები ისრაელის თავზე დაფრინავენ. ჩვენი თვითმფრინავები დილიდან ურტყამენ ისრაელის ავიაბაზებს.

რაც უნდა დაუჯერებელი მოჩვენებოდა ნასერს მისი ავიაციის განადგურება, ამ საუბრიდან ცხადი ხდება, რომ იგი ცდილობდა ინგლისისა და აშშ-ის წინააღმდეგ სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდების შეთითხვნას და ამ აბსურდულ წამოწყებაში ბედკრული ჰუსეინის თანადგომის იმედი ჰქონდა. ამასთანავე, იგი ატყუებდა თავის მოკავშირეს, როდესაც თავისი ავიაციის ვითომცდა აქტიურობით აბრუებდა. ავიაცია ხომ უკვე აღარ არსებობდა. ომის დამთავრების შემდეგ მეფე ჰუსეინმა ლონდონში განაცხადა, რომ არ სჯერა ამ ისტორიისა. 4 ივლისს, ჰუსეინის განცხადებიდან ორი დღის შემდეგ, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადიც შეეხო ამ თემას. უპასუხა რა ქაიროში აკრედიტებული „ტაიმსის“ კორესპონდენტის შეკითხვას, – მართლა მიაჩნია თუ არა მას, რიდას, რომ ბრიტანული ბომბდამშენები ანდა პილოტები ომის დროს მონაწილეობდნენ არაბებზე თავდასხმაში, მინისტრმა განაცხადა, რომ არ გააჩნია მტკიცებულება ინგლისელთა ინტერვენციის თაობაზე, თან დაუმატა, რომ ეს საკითხი იმდენად არაბებისთვის არა, რამდენადაც ინგლისის უბრალო ადამიანებისთვისაა საინტერესო.

რუსებმა არ დაიჯერეს ნაყალბევი ამერიკელთა და ინგლისელთა საჰაერო ინტერვენციის შესახებ. უფრო მეტიც, მისმა გამოჩენამ მათი ძლიერი გაღიზიანება გამოიწვია. თავის მხრივ, ეგვიპტელებმა და იორდანელებმა, დარწმუნდნენ რა, რომ ამ სატყუარით რუსებს ვერ ჩაითრევდნენ კონფლიქტში, საერთოდ დაივიწყეს ეს გამონაგონი. თუმცა, არაბული ქვეყნების ხალხებს დღესაც სჯერათ ამ მონაჭორისა.

ამტკიცებენ, თითქოს ნასერს ეზმანებოდა სინაის ნახევარკუნძულის თავზე გრანდიოზული საჰაერო ბრძოლა ეგვიპტურ და ისრაელურ სამხედრო-საჰაერო ძალებს შორის, რომელიც მოაგონებდა მას მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის ზეცაში გამანადგურებლებით ბრძოლას. მაგრამ თუკი დავუშვებდით, კიდეც იმას, რომ ისრაელს არ მიეყენებინა თავისი პირველი გადამწყვეტი დარტყმა და პრაქტიკულად არ გაენადგურებინა ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალები ხმელეთზე, მაინც ძალზე მცირე საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ დავეჭვებულიყავით საჰაერო ბრძოლის საბოლოო შედეგებში. ისრაელური მონაცემების თანახმად, 64 საჰაერო ბრძოლის დროს მათ ჩამოაგდეს 50 ეგვიპტური მიგ-ი, ისე რომ არც ერთი „მირაჟი“ არ დაუკარგავთ. თვით „ვოტურები“ და „მისტერები“, რომელთა სიჩქარე ნაკლებია ბგერის სიჩქარეზე, ახერხებდნენ მიგ-21-ის ჩამოგდებას.

მოწინააღმდეგე ანადგურებდა ისრაელურ თვითმფრინავებს საზენიტო ცეცხლით, ანდა აზიანებდა ზემოდან, როდესაც ისინი უტევდნენ მიწისზედა ობიექტებს. გენერალმა ხოდმა არაორაზროვნად განაცხადა: „საჰაერო ბრძოლებში ანგარიში იყო 50:0. საჰაერო შერკინებისას ჩვენ ჩამოვაგდეთ 50 მიგ-ი, ისე რომ არ დაგვიკარგავს არც ერთი თვითმფრინავი.“

როგორ მოახერხეს ისრაელელებმა ასეთი სრული და ელვისებური გამარჯვების მოპოვება? გენერალმა ხოდმა ამასთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგ მიზეზებზე:

1. მზადების თექვსმეტი წელი დაიხარჯა ომის დაწყების ამ ოთხმოცი წუთისათვის. „ჩვენ ვცხოვრობდით გეგმით, გვეძინა გეგმით, ვიკვებებოდით გეგმით, გამუდმებით ვსრულვყოფდით გეგმას“.

2. დაზვერვა იძლეოდა ზუსტ ინფორმაციას მოწინააღმდეგის ავიაციის გადაადგილებასა და აქტივობაზე, საჰაერო ბაზების განლაგებასა და მუშაობის დეტალებზე, მოწინააღმდეგის სამხედრო-საჰაერო ძალების გაშლაზე, რადარული სადგურებისა და სარაკეტო დანადგარების განლაგებაზე.

3. ოპერაციის წარმატებაში უმთავრესი როლი ითამაშა ოპერატიულმა სამმართველომ, რომელმაც სრულად დაანახა ყველას თავისი უნარი სწორად შეეფასებინა და გაეთვალისწინებინა მონაცემები მათი შემოსვლისთანავე. ის აგრეთვე გადაცემდა ახალ მონაცემებს და უთითებდა მფრინავებს ჰაერში ახალ სამიზნეებზე.

4. გეგმის ზუსტი შესრულება მფრინავების მიერ (მათი საშუალო ასაკი 23 წელი იყო) წარმოადგენდა გამარჯვების მეოთხე უმნიშვნელოვანეს პირობას. ამას წინ უძღოდა მრავალწლიანი წვრთნა პილოტაჟის, ნავიგაციისა და დაბომბვის სიზუსტის ხელოვნებაში. „ჩვეულებრივ ჩვენ ვითვალისწინებდით, რომ საომარ მდგომარეობაში შედეგები 25 პროცენტით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე წვრთნისა. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო მფრინავების აღგზნებული მდგომარეობით და მათზე საზენიტო ცეცხლის დაშენით. მაგრამ შედეგები უკეთესი გამოდგა, უფრო უკეთესი, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. ამის მიზეზად შეიძლება ის დავასახელოთ, რომ მფრინავებმა თავიანთი ძალების სრული კონცენტრაცია მოახდინეს და მაქსიმალურად ზუსტად და ეფექტურად შეასრულეს საბრძოლო დავალებები. როგორც ჩანს, მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მფრინავები არ იყვნენ ვალდებულნი ჰაერში დაეცვათ უსაფრთხოების წესები, როგორც ამას მშვიდობიანობის დროს აკეთებდნენ. ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებოდით, თუკი ჩვენი თითოეული თვითმფრინავი მოწინააღმდეგის თუნდაც ერთ თვითმფრინავს გაანადგურებდა, მაგრამ, ფაქტიურად, მოწინააღმდეგემ გაცილებით დიდი ზარალი ნახა. ერთი საჰაერო თავდასხმისას ორმა ისრაელურმა თვითმფრინავმა ხმელეთზე ოთხი წუთის მანძილზე თექვსმეტი ეგვიპტური ბომბდამშენი გაანადგურა.

ისრაელელები წლების მანძილზე, ამუშავებდნენ ამგვარ ხერხებს. სამხრეთ ნეგევში განლაგებულ ოთხ თუ ხუთ პოლიგონზე წვრთნის დროს რამდენიმე ათასი საავიაციო ბომბი იქნა ჩამოგდებული. წელიწადში სულ ცოტა, ერთხელ, ისრაელელები აწყობდნენ საწვრთნელ შეტევებს ამ ობიექტებზე ძალთა სრული დაძაბვით. ომის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ყველა თვითმფრინავი გრაფიკის სრული დაცვით გამოჩნდებოდა ხოლმე სამიზნის თავზე და არ იყო ისეთი თვითმფრინავი, რომელსაც არ მიეღწიოს მიზნისათვის, თუმცა, ისინი ტრასის გამოთვლის მხოლოდ ნავიგაციური მეთოდით სარგებლობდნენ.

ადამიანური მასალა და მომზადების დონე მხოლოდ ჰაერში არ თამაშობდა პირველხარისხოვან როლს: არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იგი მიწაზეც. თანამედროვე საბრძოლო მანქანის საწვავით ავსება 7-10 წუთის მანძილზე და სრული ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა ავიაციისა, რომელიც დღეში 500 თვითმფრინავის გაფრენას ახორციელებდა, დიდ ოსტატობასა და ზუსტად შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვდა. გენერალმა ხოდმა ომის შემდგომ როგორღაც შენიშნა: „ორშაბათს, 7 საათსა და 45 წუთზე, ჩვენი ავიაცია საბრძოლველად მზად იყო 99 პროცენტზე მეტად და ამ დონეზე ჩვენ დავრჩით ომის მთელი კვირის განმავლობაში. თუმცა, ზოგჯერ ერთი-ორი საათი გვჭირდებოდა თითო-ოროლა ჩვენი თვითმფრინავის შესაკეთებლად. მაგრამ არცერთ სტადიაზე არც ერთი ჩვენი თვითმფრინავი არ იყო გაუმართავი, რა თქმა უნდა, თუ დანაკარგებს არ ჩავთვლით. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მფრინავი დალოდებოდეს თვითმფრინავის შეკეთებას.“

გენერალი ვეიცმანი იხსენებს: „ომამდე სამი თუ ოთხი თვით ადრე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მსმენელთა დიდი ჯგუფი ეწვია ისრაელს. მათ მანამდე მოინახულეს ქაირო და მიიღეს დიდი შთაბეჭდილება, იყვნენ იორდანიაში და განცვიფრებულები დარჩნენ მეფე ჰუსეინის მონაყოლით. როდესაც მე შევხვდი მათ, მომეჩვენა, რომ ისინი ჩვენს მდგომარეობას უიმედოდ მიიჩნევდნენ. ვუთხარი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენ გვიყვარდა ასეთი გამოთქმა: „გერმანელებმა კვლავ ალყა შემოგვარტყეს – ბედნავსიანებმა“. მე დავუმატე, რომ ჩვენს დროში შეიძლება საფუძვლიანად განვაცხადოთ – „არაბებმა კვლავ ალყა შემოგვარტყეს – ბედნავსიანებმა“. ვხედავდი, რომ ამერიკელებმა მეტისმეტად თავდაჯერებულად ჩაგვთვალეს, ასეც იყო, მაგრამ ჩვენ საამისო საფუძველიც გაგვაჩნდა.“

ორშაბათს, 10 საათსა და 35 წუთზე (ისრაელის დროით), ეგვიპტის ავიაცია განადგურებული იყო. მან შეწყვიტა თავისი არსებობა, როგორც ეფექტურმა სამხედრო ძალამ, და არ შეეძლო ეგვიპტის არმიისათვის სინაის ნახევარკუნძულზე რაიმე ქმედითი დახმარების აღმოჩენა. ახლა ისრაელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა დროის ფაქტორმა. ისრაელის მთავრობის დიდი ნაწილი სასოწარკვეთილი იყო ცეცხლის ნაადრევი შეწყვეტის პერსპექტივით. მათ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა უსიამო მოგონებანი 1956 წლისა, როდესაც ამერიკელთა ზეწოლამ განაპირობა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის (მათ გამარჯვებამდე დათვლილი საათებიღა თუ რჩებოდა) უსახელო დამარცხება. ისრაელური გეგმა ეფუძნებოდა ისრაელის (მათ გამარჯვებამდე დათვლილი საათებიღა თუ რჩებოდა) უსახელო დამარცხება. ისრაელური გეგმა ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ დროში ძალზე შეზღუდულ ისრაელს ყველაფერი უნდა ეღონა ძალზე სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვებისათვის. ეს იყო გაბედული და – ზოგი ადამიანის თვალსაზრისით – უგუნური გეგმა. მაგრამ ინგლისელებისა და ფრანგებისაგან განსხვავებით, რომლებმაც 1956 წელს სამარცხვინო ფიასკო განიცადეს, ისრაელელებმა ძალზე ზუსტად შეაფასეს მათი მოწინააღმდეგის ძალები და შესაძლებლობები. სწორედ ამაშია მათი წარმატების საიდუმლო.

მათ დასჭირდათ 48 საათზე ნაკლები, რათა ხერხემალი გადაემტვრიათ სინაიზე ნასერის 100 ათასიანი არმიისათვის (ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მათ ძალებს მიეღწიათ სუეცის არხამდე, დაუფლებოდნენ შარმ ა-შეიხს და დაეკავებინათ იერუსალიმი და, აგრეთვე, იორდანეს დასავლეთ სანაპიროს დიდი ნაწილი)[1], მაგრამ ჰქონდათ კი მათ ეს 48 საათი? რა თქმა უნდა, დაიანს ძალზე ეეჭვებოდა ეს. ნასერი დროზე რომ ჩაეყენებინათ საქმის კურსში მისი ავიაციის მეთაურებს და იგი მისი ერის ინტერესების ჭეშმარიტი დაცვით რომ ყოფილიყო დაინტერესებული, მას შეეძლო უშიშროების საბჭოს მოწვევის მოთხოვნა და დაჟინება რეზოლუციისა, რომლის ძალითაც დაუყოვნებლივ და უპირობოდ შეწყდებოდა ცეცხლი. ამგვარი ნაბიჯით იგი ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ისრაელს. ამის გამო დაიანი დაჟინებით მოუწოდებდა ისრაელელ მეთაურებს დაეჩქარებინათ წინსვლა. თუმცა ამ უკანასკნელთ მსგავსი შეხსენება ნამდვილად არ სჭირდებოდათ.

[1] იგულისხმება იუდეა და სამარია.

კორახი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

„და აიღო კორახმა . . .“ კვირის საკითხავი თავი „კორახი“ მოგვითხრობს იმ ჯანჯზე, რომელიც წამოიწყო კორახმა ებრაელი ხალხის წინაძღვართა მოშესა და აჰარონის წინააღმდეგ და რომელიც აჯანყებულთათვის საშინლად დასრულდა. რა იყო მათი აჯანყების მიზეზი? კორახმა შეკრიბა 250 ადამიანი, რომელთაც ებრაელ ხალხში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ – ისინი ის პირველშობილნი იყვნენ, რომელნიც ლევიტებმა შეცვალეს გამჩენისადმი სამსახურის შესასრულებლად. აჯანყებულთა შორის იყვნენ ასევე დათანი და ავირამი, რომელნიც ჯერ კიდევ ეგვიპტიდან მოყოლებული მოშე რაბეინუს მტრები იყვნენ, და ონი პელეტის ვაჟი. კორახმა მათ განუცხადა: „ ყველა ებრაელი წმინდაა, რადგანაც გამჩენი ჩვენთანაა და რატომ მაინცდამაინც მოშე და აჰარონი არიან მომაღლებულნი, ანუ ასრულებენ სამსახურს მიშქანში (გადაადგილებად ტაძარში)? რატომ მიანდე შენ, მოშე მხოლოდ აჰარონსა და მის ვაჟებს ტაძარში გამჩენისადმი მსახურება, თუკი ამის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ებრაელს? ეს იმიტომ გააკეთე, რომ მომაღლებული, გამორჩეული იყვნენ ისინი წმინდა ისრაელის შვილებისაგან. გასაგებია, რომ აჯანყებულებს, გარდა იმისა, რომ სურდათ სიკეთე ებრაელი ხალხისათვის, საკუთარი მიზნებიც ჰქონდათ. დათანი და ავირამი ყოველთვის ეძებდნენ იმის მიზეზს, რომ ევნოთ რაიმე მოშე რაბეინუსათვის. 250 ადამიანი რეუბენის ტომიდან პირველშობილნი იყვნენ და გაუნაწყენდნენ წინამძღოლს იმის გამო, რომ მათთვის განკუთვნილი სამუშაო ლევიტებს გადასცეს. ხალხი იმის გამო წუხდა, რომ მზვერავების შეცოდების შემდეგ ისინი დაისაჯნენ და ვეღარ შევიდოდნენ ისრაელის მიწაზე, ყველა ვინც ამ შეცოდებაში იყო გარეული უდაბნოში მოკვდებოდა. მაგრამ რა არ ჰქონდა კორახს, რატომ აუმხედრდა მოშეს? ის ხომ მოშესა და აჰარონის ბიძაშვილი, თორის ბრძენი, უმდიდრესი ადამიანი იყო. ჩვენი ბრძენები გვიხსნიან, რომ მოშე ტომთა ხელმძღვანელებს ირჩევდა გამჩენის მითითებით და კეჰატის (ლევის ტომის 3 ოჯახიდან ერთ-ერთი) ოჯახისათვის დანიშნეს ელცაფანი უზიელის ვაჟი. კორახმა იფიქრა: მამაჩემს – იცაჰარს 3 ძმა ჰყავდა. პირველშობილ ამრამს 2 შვილი ჰყავს – ერთი მოშე მეფე გახდა, მეორე – აჰარონი კი – მთავარი ქოენი. მათ შემდეგ ხომ მე ვარ – მეორე ძმის შვილი, რატომ აირჩია მოშემ ელცაფანი – ყველაზე პატარა ძმის უზიელის ვაჟი ოჯახის ხელმძღვანელად?

ფირკეი ავოთში („მამათა შეგონებანში“) წერია: „ შური ენებაზე უარესია და პატივისაკენ სწრაფვა განდევნის ადამიანს ამქვეყნიდან“, ისეთ ბრძენსაც კი, როგორიც კორახი იყო.

ხშირად ხდება, რომ მოშურნე ადამიანი საკუთარი თავისათვის სიკეთის მოტანაზე მეტად ცდილობს ავნოს მას, ვისიც შურს. მოგვითხრობენ ორ ადამიანზე, რომელთაც მეფე გადაარჩინეს: ერთმა ამისათვის იშრომა უფრო მეტად, ვიდრე მეორემ. მას, ვინც ნაკლებად იშრომა, მეფემ უთხრა: „აირჩიე ჯილდო, ოღონდ იცოდე, რომ მეორე იმავეს მიიღებს 2-ჯერ მეტს.“ იფიქრა მან, მე რომ მილიონი მოვითხოვო, მეორეს 2 მილიონს მისცემენ, ამას კი ვერ ავიტანო და ერთი თვალის დათხრა სთხოვა მეფეს.

ისრაელში ერთ მდიდარს ქალაქში ყველაზე ლამაზი ვილა ჰქონდა. მაგრამ, დახეთ უბედურება, მეზობელმა უკეთესი ააშენა. მდიდარმა სამმაგი ფასი გადაიხადა ამ ვილაში იმისათვის, რომ დაენგრია.

კიდევ რამ იმოქმედა კორახზე? მან რუახ ჰაკოდეშით იცოდა, რომ შთამომავალთა შორის წინასწარმეტყველი შმუელი ეყოლებოდა. ამიტომ ფიქრობდა, რომ გაიმარჯვებდა და ცოცხალი დარჩებოდა. მაგრამ მიწამ პირი დააღო და ცოცხლად ჩაიტანა დათანთან და ავირამთან, მათ ოჯახებთან და მთელ აელადიდებასთან ერთად.

აჯანყებულები ასე მკაცრად იმიტომ დაისაჯნენ, რომ აუმხედრდნენ გამჩენის მიერ გამოგზავნილ ადამიანს – მოშეს, რომლის მეშვეობითაც ის საკუთარ ნებას გადასცემდა ხალხს. რჩეულის წინააღმდეგ ამხედრებული მის გამომგზავნსაც უმხედრდება.

თორის 613 მცნებათაგან ერთ-ერთი გვეუბნება, რომ არ დავემსგავსოთ კორახს და მის თანამზრახველებს, არ ვიკამათოთ, არ ვიჩხუბოთ გამჩენის რჩეულ ებრაელ ხალხთან.

ყოველთვიური მიმოხილვა
რუბრიკას უძღვება
თემურ იაკობაშვილი

სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრას რადიკალური ცვლილებები არც უნდა მოჰყოლოდა

საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო მოვლენები იყო: არჩევნები საფრანგეთში, დიდი რვიანის შეხვედრა და მოვლენები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ვითარდება.

სიურპრიზი არავისთვის ყოფილა, რომ საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნებში სარკოზი გაიმარჯვებდა. შესაძლოა მისი გამარჯვებით ევროპამ ისეთი ლიდერი მიიღოს, რომელიც ევროკავშირის ახალ მოტორად იქცევა. ფაქტია, რომ ევროპის სახელმწიფოთა ძველი ლიდერები დიდი სურვილით არ გამოირჩეოდნენ, რომ ევროკავშირი გაეძლიერებინათ. ვგულისხმობ შრიოდერსა და შირაქს. მერკელისა და სარკოზის ხელისუფლებაში მოსვლა, შეიძლება მოასწავებდეს ევროკავშირის დადებითად რადიკალურად შეცვლას. ისინი შეეცდებიან ევროკავშირის პრობლემების მოგვარებას, ევროკავშირის შიდა პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სარკოზი მაინცდამაინც დადებითად არ იყო განწყობილი რუსეთის მიმართ, ის ურთიერთობა, რომელიც იყო შირაქსა და რუსეთს შორის, შრიოდერსა და რუსეთს შორის ისტორიას ჩაბარდა. ახლა უფრო პრაგმატული მიდგომების მომსწრენი ვხდებით. პირველ რიგში ეს გულისხმობს იმას, რომ რუსეთის მცდელობა გაეხლიჩა ევროპისა და ამერიკის ალიანსი, საბოლოოდ კრახით დასრულდა. თუ დასავლეთი იქნება ერთიანი, ამრიკა და ევროპა იქნება ერთიანი საერთაშორისო არენაზე. ეს წაადგება მსოფლიოს და პირველ რიგში თავად რუსეთს.

სააკაშვილისა და სარკოზის შეხვედრას შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციისათვის. ვფიქრობ, დადებით შედეგს უნდა ველოდოთ.

საინტერესო გახლდათ დიდი რვიანის სამიტი. თითქოს ტრადიციად იქცა, რომ სამიტის დაწყების წინ რუსეთის საკითხი დგება. არის საუბარი იმაზე, რომ უნდა იყოს თუ არა რუსეთი, გავრიცხოთ თუ არა. იმ დროისთვის რუსები ცდილობენ უფრო შეალამაზონ შიდა და გარე ურთიერთობები. წლევანდელმა სამიტმა ჩაიარა ისე, რომ რუსეთის თემა აქტიურად არ განხილულა. ამ სამიტზე პრიორიტეტული გახლდათ გლობალური დათბობისა და ბუნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, ის უფრო აქტიურად განიხილებოდა სამიტზე, ვიდრე რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობები. ამ ფორმატით ჩატარებულ სამიტზე დადებითი მოვლენაა რუსეთის პრეზიდენტის დასწრება, მან უნდა იურთიერთოს სხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან. ეს გავლენას ახდენს თვითონ რუსეთის შიდა ურთიერთობაზე, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ცდილობს რუსეთი თავის კოორდინაცია მოახდინოს საერთაშორისო არენაზე. ამ დიდი რვიანის სამიტზე არის ხოლმე მთელი რიგი გადაწყვეტილებები.

საინტერესო იყო სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრა, რომელიც ისევე, როგორც ყველა შეხვედრა თავიდანვე ანგაჟირებული გახლდათ. მეჩვენება, რომ ამ ეტაპზე რუსეთისთვის საქართველო პრიორიტეტულ თემას არ წარმოადგენს. მას სურს სტატუს ქვო შეინარჩუნოს და არ სჭირდება პოლიტიკური ცვლილებები, არც უკეთესობისაკენ, არც უარესობისაკენ. ამდენად იმის მოლოდინი, რომ შეხვედრას რადიკალური ცვლილება მოჰყვებოდა მცდარი იყო. შეიძლება მოწმენი გავხდეთ რაღაც შერბილებისა, იქნება ეს საჰაერო მიმოსვლა ან სხვა დათმობები, მაგრამ, რადიკალური ცვლილებები ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არ მოხდება, სანამ რუსეთი ახალ პრეზიდენტს არ აირჩევს, ან საქართველო არ გაწევრიანდება ნატოში.

ძალიან საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში. ვიტყოდი, რომ ახლო აღმოსავლეთში არის მასიური შიდა კრიზისების ხანა, ეს მასიური შიდა კრიზისი ყველა სახელმწიფოს ეხება. ვხედავთ, რა ხდება თავად ისრაელში. ანეკდოტიც არის ასეთი: შარონი გააღვიძეს. მან იკითხა პრეზიდენტი სად არის? – უპასუხეს ქალებთან ურთიერთობის გამო გააგდესო, შემდეგ სხვა მინისტრი იკითხა, კვლავ იგივე პასუხი და – აღარ გამაღვიძოთო – თქვა შარონმა. ისრაელში შიდა კრიზისებმა ბინძური ფორმები მიიღო. საბედნიეროდ ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობს, იგი ჩარჩოებს მიღმა არ გადის.

საყურადღებოა პალესტინის მდგომარეობა. პალესტნელები ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ. „ხამსმა“ და – ფათხმა არა მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე იკინკლავეს ან მათ შორის მხოლოდ ალაგ-ალაგ გასროლა იყო, სერიოზულად შეუტიეს ერთმანეთს. როგორც ვნახეთ, „ფათხი“ გამოვიდა პალესტინის ავტონომიიდან. ეს ძალიან სერიოზული შიდა კრიზისია, მას ფესვები გარეთ აქვს და ასე ადვილად არ დასრულდება. ეს არის გამოძახილი იმ პოლიტიკისა, რომელიც ისრაელის გარშემო ხდება. „ხამასის“ გაძლიერებამ „ჰისბალასთან“ ერთად ეს არის შიდა კრიზისების წყარო უშუალოდ ლიბანში. ჩვენ ვნახეთ, რომ ლიბანის არმია ებრძოდა პალესტინელებს და პალესტინურ ბანაკებშიც შევიდნენ.

ერაყი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა არა მხოლოდ ამერიკელებისათვის. ძალიან სერიოზული დაპირისპირებაა შიიტურ და სუნიტურ მუსლიმებს შორის. ამ ყველაფერს დაემატა დაპირისპირება თურქებსა და ქურთებს შორის. თურქები აღარ მალავენ, რომ აპირებენ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას ქურთების წინააღმდეგ, ქურთულ რეგიონში, ჩრდილოეთ ერაყში. ან შიდა დაპირისპირებები უკვე იმ დონეზე მივიდა, რომ ახლო აღმოსავლეთი არავის აღარ ახსოვს. გარე მცდელობები, რომ სიტუაცია დაელაგებინათ, შიდა არეულობაში გადაიზარდა. ამ ფონზე საინტერესოდ გამოიყურება საქართველოში მიმდინარე მოვლენები, სადაც შიდა ომები დამთავრებულია. პოზიციამ და ოპოზიციამ გაიყვეს პოზიციები. ყველა თავის პოზიციაზე მყარად დგას. საქართველოში რაღაც განსაკუთრებული რყევები არ იქნება, რა თქმა უნდა, თუ არ მოხდა ინსცენირებები. ყველაზე საინტერესო არის ცვლილებები კონფლიქტებთან მიმართებაში. საქართველომ შეძლო არა მხოლოდ სამშვიდობო გეგმის შემუშავება – არამედ შეძლო სანაკოევის მთავრობის შექმნა. ამ მთავრობის არსებობა სერიოზულად ცვლის ძალთა ბალანსს სამხრეთ ოსეთში. რუსეთის პოლიტიკის ცვლილება ამ მიმართულებით მიგვიყვანს სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტამდე. სიტუაციის დეგრადირება აფხაზეთშიც გამოიწვევს იმას,რომ რუსეთმა შეცვალოს თავისი მიდგომები, როგორც კი ამის სათანადო პოლიტიკური ფონი გაჩნდება, ეს სიტუაციები ორივე ადგილას რადიკალურად შეიცვლება.

„ერთად ვებრძოლოთ ანტისემიტიზმს“

6-8 ივნისს ანტისემიტიზმს მიეძღვნა ქ. ბუქარესტში პარლამენტის სასახლეში ჩატარებული კონფერენცია „დისკრიმინაციასთან ბრძოლა და ურთიერთპატივისცემის განვითარება,“ რომლის ორგანიზატორი რუმინეთის საგარეო სამინისტროსთან ერთად ეუთო გახლდათ. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნების მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ისრაელის დელეგაციის ხელმძღვანელობდა ბ-ნი ისააკ ჰერცოგი – სოციალური საკითხების და დიასპორასთან ურთიერთობის მინისტრი. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ მნიშვნელოვანი არასამთავრებო საერთაშორისო და ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები(მსოფლიოს ებრაული კონგრესი, ამერიკის ებრაული კომიტეტები, ებრაული ფედერაცია, „ბნეი ბრითი“ დას სხვ.).

საქართველოდან არასამთავრებო სექციას წარვადგენდით მე, მარინე სოლომონიშვილი, როგორც ებრაელი ლიდერი (საერთაშორისო ქალთა საბჭოს ებრაელ ქალთა ფონდის ხელმძღვანელი და საერთაშორისო ექსპერტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში), ხათუნა ცინცაძე (ორგანიზაცია “21-ე საუკუნე“), სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენდა საქართველოს ელჩი რუმინეთში ბ-ნი ზურაბ ბერიძე და კონსული ბ-ნი ნიკოლოზ იაშვილი.

6 ივნისს კონფერენციის დაწყებამდე ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრა. ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის დეკლარაციას.

7 ივნისს კონფერენცია გახსნა რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა, სიტყვით გამოვიდნენ: ეუთოს სხვადასხვა ქვეყნების სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები. აღინიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია მაღალი დონის კონფერენციაზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა, რადგან ისინი გვთავაზობენ რეკომენდაციებს, რომელიც უნდა გაითვალისწინონ სამთავრობო სტრუქტურებმა. ერთობლივად უნდა შევიმუშაოთ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია განსაკუთრებით ანტისემიტიზმისა და სხვა დისკრიმინაციის გამოვლინების პრევენციისთვის. მუშაობის სტრატეგია, რომ ეფექტური იყოს აუცილებელია მასმედიასთან ერთობლივი მუშაობა. მოგეხსენებათ, მასმედია ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია როგორც სიძულვილის და დისკრიმანაციის პრევენციის, ასევე სიძულვილის ტალღის გავრცელებისა. შეთავაზებულ იქნა შეიქმნას ფორუმი რომელიც იმუშავებს ვირტუალურად დისკრიმანაციის ფაქტებზე და მის წინააღმდეგ. რომ აუაუცილებელია სახელწიფო დონეზე შემუშავდეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. ამასთანავე განათლების სისტემაში გათვალისწინებულ იქნას ახალგაზრდების განათლება ჰოლოკოსტის, რელიგიათა და კულტურათა დიალოგის სფეროში. რელიგია, ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია, რომელიც ცდილობს მოიზიდოს მრეველი, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვა მრწამსის დისკრიმინაციის ან დათრგუნვის ნიადაგზე.

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობას. ეგვიპტის წარმომადგენლის მხრივ იყო მძაფრი გამოსვლა ისრაელის წინააღმდეგ, რასაც მკაცრად შეეწინააღმდეგა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი.

ისრაელის სოციალური და დიასპორასთან ურთიერთობის მინისტრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესების სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში, რადგან ყოველი დაძაბულობა ისრაელსა და პალესტინას შორის იწვევს ტერორიზმის ახალ ტალღას და ანტისემიტიზმის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთა მიმართ, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუსლიმ ემიგრანტების მხრივ ისრაელი დემოკრატიული ფასეულობების საფუძველზე ჩამოყალიბებული ქვეყანაა, არაბულ და ქრისტიანული კულტურებს პატივს სცემს, არ ავიწროვებს. ევროპაში სამოქალაქო საზოგადოება იზრდება ემიგრანტთა ხარჯზე და არ არის გამორიცხული სერიოზული გართულებანი.

იორდანიის პრინცმა აღნიშნა, რომ მომხრეა ისრაელთან არაბული სამყაროს სამშვიდობო თანამშრომლობისა, რომ ტერორიზმი და ანტისემიტიზმი მისთვის მიუღებელია, რომ ევროპაში ანტისემიტიზმან ერთად ასევე შეინიშნება ისლამოფობია, რადგან ევროპული საზოგადოებისთვის ხშირად რთულია სხვა მრწამსის ადამიანის მიღება, ამიტომ შეიძლება ებრაელები და მუსლიმები თანაბრად არასასურველნი იყვნენ, ამიტომ ის მხარს უჭერს ყოველგვარი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

კონფერენციის ბოლოს, მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ანტისემიტიზმის პრევენციის და ბრძოლის დეკლარაციას, რაც მნიშვნელოვანია, რათა ისტორიის მწარე გაკვეთილები არ განმეორდეს...

7 ივნისს რუმინეთის ებრაულმა ფედერაციამ გამართა მიღება ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, ხოლო 8 ივნისს კაბალათ შაბათი.

ბუქარესტის ულამაზესი სინაგოგის ძველ ნაგებობაში შევიგრძენი, რომ ჩვენ ებრაელებს სულიერი საწყისი გვაერთიანებს და გვიცავს, მაგრამ ყველა ეტაპზე სიფხიზლე გვმართებს, რათა დავიცვათ ეს ფასეულობები...

მარინე სოლომონიშვილი

ჯემალ ბენიაშვილის ნათელ ხსოვნას

ისრაელის და საქართველოს სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩვენი თემის გამოჩენილი პიროვნება ჯემალ ბენიაშვილი.

ჯემალ ბენიაშვილი დაიბადა 1941 წლის 27 მაისს, ქალაქ ქუთაისში. 1965 წელს დაამთავრა დონეცკის (უკრაინა) სამედიცინო ინსტიტუტი. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1968 წლიდან თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ნაციონალური ონკოლოგიური ცენტრის ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო განყოფილებას.

1996 წელს ისრაელში ამოვიდა საცხოვრებლად და დაიწყო მუშაობა ვოლფსონის სამედიცინო ცენტრის პათომორფოლოგიურ ლაბორატორიაში.

ბატონი ჯემალის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად მოიცავდა კლინიკური და ექსპერიმენტული ონკოლოგიის პრობლემებს. ერთ-ერთ მის ნაშრომში განზოგადოებულია 304 ავადმყოფის პერიფერიული ნერვული სისტემის სიმსივნეთა მორფოლოგიური და ჰისტოქიმიური თავისებურებანი. იგი ნაყოფიერად მუშაობდა ექსპერიმენტული ონკოლოგიის სფეროშიც. მის მიერ ჩატარებული ცდები ათასობით ცხოველზე ახალ სიტყვას წარმოადგენს კვლევის აღნიშნულ სფეროში. მან ერთ-ერთმა პირველმა შეძლო მიეღო სხვადასხვა ცხოველებზე ნეიროგენული სიმსივნეები. ონკოლოგიაში შედარებითი შეფასების მეთოდის გამოყენებით პროფესორმა ჯ.ბენიაშვილმა შეისწავლა სხვადასხვა ცხოველებში ტრანსპლაცენტარული ბლასტომოგენეზის თავისებურებები. ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკის თვალსაზრისით მის მიერ მიღებულ შედეგებს, გარდა თეორიული ინტერესისა, ბავშვთა სნეულებების კვლევის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნიათ.

პროფ. ჯემალ ბენიაშვილის მიერ შესრულებულმა სამეცნიერო კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კანცეროგენეზის მექანიზმების ექსპერიმენტალური მოდელების შექმნაში.

პროფ. ჯემალ ბენიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 200 მეტი სამეცნიერო ნაშრომი, არის სამი წიგნის ავტორი. იგი მფლობელია ოთხი პატენტისა, რომლებშიც აღწერილია სიმსივნეთა მკურნალობის კონკრეტული მეთოდები და მათი ხელოვნურად წარმოქმნის (კუჭის, პერიფერიული ნერვების და ა. შ.) ხერხები. იგი გახლდათ საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ონკოლოგიური ასოციაციის და საქართველოს პათოლოგიური ასოციაციის ნამდვილი წევრი.

საქართველოს ებრაელობის მსოფლიო კონგრესის ჩამოყალიბებიდან იგი იყო სამეცნიერო და სამედიცინო კომისიების აქტიური წევრი და მთელი რიგი იდეის ავტორი და ერთერთი შემსრულებელი.

ბატონი ჯემალი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ადამიანური თვისებებით. მიუხედავად ენციკლოპედიური ცოდნისა და დიდი მეცნიერული გამოცდილებისა, არასოდეს სხვას არ ახვევდა თავის აზრს, ურთიერთობაში იყო თბილი, გულისხმიერი, ტაქტიანი, თავმდაბალი.

მისი ნათელი ხსოვნა დიდ ხანს დარჩება მისი კოლეგების და მეგობრების გულში.

ზურაბ აჯიაშვილი, დავით ბააზოვი, ილია ბაქრაძე, მერი ბახანაშვილი, ზურაბ დევდარიანი, რობერტ ელიგერი, ზაზა იაკობაშვილი, დანიელ მაღალაშვილი, მერაბ სარელი, დავით სარიდი, დოდო ჩიკვაშვილი, გივი წიწუაშვილი, რემა ღვამიჩავა, მიხეილ შავდია

ღირსეულთაგანი

გულისტკივილით აღგვავსო საქართველოდან მიღებულმა ცნობამ, ვახტანგ გოგუაძის გარდაცვალების თაობაზე. ვახტანგ გოგუაძე გახლდათ არა მხოლოდ ცნობილი მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე, ებრაელი ხალხის, ებრაული სიტყვიერების მცოდნეც და დამფასებელიც. მან ჩინებულად იცოდა ბიბლია და ებრაელ ხალხს აფასებდა.,როგორც ამ დიდი ძეგლის შემქმნელს, მისი კანონებით შემქმნელს.

დაუვიწყარია პირქუშ 90-იანი წლების დამდეგს მის მიერ თბილისის დიდ ბეით ქნესეთში (სინაგოგაში) წარმოთქმული სიტყვა., რომელშიც იგი ლაპარაკობდა ბიბლიის როლსა და ადგილზე კაცობრიობის საგანძურში.

ბატონ ვახტანგს ისრაელში ბევრი მეგობარი და დამფასებელი ჰყავდა. მინდა მათი სახელით სამძიმარი გამოვუცხადო ვახტანგ გოგუაძის ოჯახს, ახლობლებს.

მეამაყება, რომ ასეთი მეგობარი მყავდა, მაგრამ გული მწყდება: იგი ისე წავიდა ამქვეყნიდან ერთხელაც ვერ იხილა მისთვის ესოდენ ძვირფასი წმინდა მიწა.

მარადიული იქნება ბატონი ვახტანგის ხსოვნა ყოველი ჩვენგანის გულში.

შალომ დავიდი

მთარგმნელი, საქართველოს საპატიო მოქალაქე,
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტის
საპატიო პროფესორი.ქ. ხულონის ვიცე-მერი

სემინარი



2007 წლის 28-30 მაისს ფონდ ,,ცოდნის ინფორმაციისა და ტრენინგის ცენტრი" კავკასიის ქვეყნების ებრაული თემებისათვის საერთაშორისო სემინარი ჩაატარა თემაზე: ,,ხანდაზმული პაციენტების რეაბილიტაცია ტრავმებისა და ინსულტის შემდეგ", რომლის მიზანი გახლდათ ხანდაზმულ ავადმყოფებში ინსულტისა და ტრამვების შემდეგ რეაბილიტაციის ახალი მეთოდების გაცნობა და დანერგვა.

სემინარი ,,ჯოინთის" ეგიდით ჩატარდა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ებრაული ორგანიზაციებისა და კლინიკების ექიმი-ორთოპედები, რეაბილიტოლოგები, მეთოდისტები. სულ 30 ადამიანი.

ლექციებსა და ტრენინგებს უძღვებოდნენ იერუსალიმიდან მოწვეული სპეციალისტები: ანა შტორმი – იერუსალიმის ,,ჯოინთის" კონსულტანტი სოციალურ საკითხებში, მიხეილ ბერტნშტეინი – ბეილინსონის სახ. ისრაელის სამედიცინო ცენტრის ორთოპედიული განყოფილების გამგე. ვერონიცა ადამი და ლენა ოიფმან – ფიბიოთერაპევტი.

სემინარი ცოდნის ინფორმაციისა და ტრენინგის ცენტრის დირექტორმა ნანა იოსებაშვილმა გახსნა. სემინარის მონაწილეებს მიესალმა ,,ჯოინთის" წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვი, რომელმაც აღნიშნა სემინარის მიზნის აქტუალობა.

მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები: ,,რამდენიმე სიტყვა ჩვენს ხანდაზმულ სამეურვეო პირზე". ,,მოტეხილობა ხანდაზმულებში,მოვლის საშუალებები", ,,ოსტეოპოროზი", ,,რამდენიმე სიტყვა ფიზიოთერაპიაზე", ,,ინსულტი", ,,ხანდაზმულ ასაკში პათოლოგიური მდგომარეობის ზემოქმედება ფუნქციონალურ დონეზე", ,,თქვენი ჯანმრთელობა თქვენს ხელშია", ,,ზრუნვა ჯანმრთელ ზურგზე", ,,ორთოპედის აწმყო და მომავალი", ,,ფუნქციონალური ვარჯიშები წონასწორობის გაუმჯობესებისა და ძვლოვანი მასის შენარჩუნებისათვის".

სემინარის დასასრულ მონაწილეებმა აღნიშნეს ლექტორთა პროფესიონალიზმი და სემინარის ორგანიზაციის მაღალი დონე.

იური ზისლინის კონცერტი

14 ივნისს თბილისის ებრაულ სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით გაიმართა ამერიკაში მოღვაწე მომღერლის იური ზისლინის სოლო კონცერტი. პროგრამის თემა გახლდათ: იური ზისლინის სიმღერები, რუსული პოეზიის რომანსები. მისი პროგრამა ასახავდა მოგონებებს სსრკ-ზე, ებრაელობაზე და საქართველოზე.

მომღერალი წარადგინა მთარგმნელმა და პოეტმა ნათან ბააზოვმა. შემდეგ კი იური ზისლინი თავად გაეცნო მსმენელთ და აღნიშნა, რომ წლევანდელი წელი აღსავსე გახლავთ იუბილეებით: – 50 წლის წინათ გავიცანი ჩემი მეუღლე, ამ წელიწადს 10 წელი შესრულდა, რაც ჩემი მუზეუმი დაარსდა, ჩემს მუზეუმში ყველაზე მრავლად ჩემი საყვარელი პოეტის მარინა ცვეტაევას ლექსებია, რომელსაც წელს 125 წელი უსრულდება, დედაჩემი, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი პიროვნება გახლდათ, 105 წელი უსრულდება.

მომღერალმა პირველი სიმღერა დედას მიუძღვნა. იური ზისლინის 2 საათიან საკონცერტო პროგრამას სიამოვნებით უსმენდა ქართულ-ებრაული საზოგადოებრიობა.

ნინო ლომია

ყურადღება: ცხადდება ტენდერი

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი ,,ხესედ ელიაჰუ,, აცხადებს ტენდერს ერთჯერად მომარაგებაზე საყოფაცხოვრებო ქიმიის და ჰიგიენის სხვადასხვა სახის საგნებიდან შემდგარ ამანათების მოწოდებაზე, ჩვენს ცენტრში აღრიცხვაზე მყოფ სამეურვეო პირებისათვის.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ იურიდიულ პირებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ტენდერის პირობებს ,,ხესედ ელიაჰუს,, ადმინისტრაციაში. მისამართი: თბილისი, ვახტანგ VI ქ. №30, II სართულზე.

ტენდერის პირობების გასაცნობად აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

1. იურიდიული პირის წესდების ასლი
2. სარეგისტრაციო მოწმობის ასლი
3. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ტელეფონი
5. ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები
6. ცნობა ბანკიდან იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედია და არ ერიცხება საბიუჯეტო დავალიანება (კარტოთეკა).

დოკუმენტების მიღება და ტენდერის პირობების გაცნობა იწარმოებს 2007 წლის 15 ივლისამდე.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

JAFI

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი